აჭარა პრივატიზაციიდან მიღებული თანხებით უკმაყოფილოა A4

მინისქვეშა გაზსაცავი - საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გარანტი A8

აქტუალური ისტორია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 17 იანვარი, 2005 წელი. N9 (869)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

"ენგურჰესმა" მუშაობა შეწყვიტა

ენგურჰესის ტრანსფორმატორზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, აჭარის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის ელექტრომომარაგება 18 იანვრამდე შეიზღუდება.

A4

სამართალი

უსამართლობიდან მომდინარე საფრთხე

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსამართლემ მამუკა სონღულაშვილმა, ფეხმძიმე ქალისთვის პატიმრობის შეფარდების პარალელურად, მასზე ზრუნვა (თუ პასუხისმგებლობის მოხსნა) სცადა.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

	17/1	18/1
თბილისი	11	7
ქუთაისი	13	12
ბათუმი	16	16
სოხუმი	11	12
ფოთი	14	14
თელავი	9	6
ზუგდიდი	13	13
გორი	7	4
ახმეტა	9	6
ჭიათურა	9	8
გაგრა	9	10
სამტრედია	13	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი ... 1.8200
ევრო ... 2.3840
გირვანქა სტერლ. ... 3.3985
რუბლი ... 0.0651

აფხაზეთის საკითხი ქართულ პოლიტიკაში

წარსული, აწმყო, მომავალი

წერილი მეორე

იგორ კვესელავა

საქართველოს მესამე რესპუბლიკა და აფხაზეთი

საბჭოეთის დაშლის ბოლო ეტაპზე საქართველო ერთდროულად აღმოჩნდა რამდენიმე ქვეყნის დაინტერესების ობიექტი. უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა ჩრდილო კავკასიური ისლამური რესპუბლიკის, ან ჩრდილო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის შექმნას, რომლის დედაქალაქად სოხუმი მოიაზრებოდა.

პირველ ხანებში კრემლი თვით უწყობდა ხელს ამ გეგმის რეალიზაციას, მაგრამ შემდგომში მიხვდა, რომ ხაფანგში გაება, რადგანაც ჩეჩნების, ყაბარდო-ბალყარების, აფხაზებისა და სხვა ხალხების გაერთიანებით რუსეთი თანდათანობით კარგავდა შავ ზღვაზე გასასვლელს.

ცხადია, ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩაბმული მუსულმანური სამყარო, რომელიც ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას უწევდა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხს.

ასეთ ვითარებაში, 1990 წლის ოქტომბერში, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების გზით საქართველოში მოხდა ხელისუფლების შეცვლა. ქვეყნის სათავეში ზვიად გამსახურდიას მეთაურობით მოსული ეროვნული ძალები აცნობიერებდნენ, რომ რუსეთი ცდილობდა, თავიდან აეცილებინა საფრთხე კავკასიაში და აფხაზეთში განმტკიცებულიყო.

კრემლის მიერ შემუშავებულ გეგმაში შედიოდა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების გაღვივება და საქმის ომამდე მიყვანა, რაც აფხაზურ მხარეს შესაძლებლობას მისცემდა, რუსეთის დახმარებით დაემარცხებინა ქართველები და აფხაზეთიდან გამოედევნა.

სწორედ აღნიშნული გეგმის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად საქართველოს მესამე რესპუბლიკის ხელისუფლების პოლიტიკა აფხაზეთში, რაც გარკვეულ დათმობასაც ითვალისწინებდა.

მხედველობაში გვაქვს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ვ. არძინბას კანდიდატურისათვის მხარდაჭერა, აფხაზური მხარისათვის შედარებით უპირატესი საარჩევნო მექანიზმის შეთავაზება. ყოველივე აღნიშნული დღესაც კამათის თემაა, მაგრამ, ალბათ, იმ ვითარებაში ეს იყო ყველაზე მართებული გადაწყვეტილება, რომელიც "უკიდურესი აუცილებლობით" იყო გამოწვეული.

გაგრძელება A3 გვერდზე

ორი პრეზიდენტი, პლუს მესამე

"24 საათის" საკუთარი კორესპონდენტი სოხუმიდან

პრეზიდენტი - ძველი

პარასკევს, 14 იანვარს, დიდი ლოდინის შემდეგ, გამოჩნდა ვლადისლავ არძინბას, ფაქტობრივად უკვე ყოფილი პრეზიდენტის, რეაქცია განმეორებით საპრეზიდენტო არჩევნებზე. მან სერგეი ბაგაფშს დამაჯერებელი წარმატება მიულოცა და "ერის საკეთილდღეოდ" ერთად მუშაობას დაჰპირდა, თუ ამის საჭიროება იქნება. აღნიშნულმა განცხადებამ, რომელიც მოულოდნელი არ ყოფილა, მაინც ბევრის გაკვირვება გამოიწვია.

6 დეკემბრის შემდეგ, პრეზიდენტი ისე დუმდა, თითქოს პირში წყალი ჰქონდა დაგუბებული. საზოგადოებამ ვერ მოისმინა მისი მოსაზრებები და შეფასებები, პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევისათვის მიღწეული შეთანხმებების თაობაზე. ყველასთვის ნათელი იყო, რომ მას ხელს არ აძლევდა ის ახალი პოლიტიკური რეალიები,

გაგრძელება A2 გვერდზე

რონალდი - არნოლდის ინკარნაცია

ფილმი მიძღვნილი იქნება კულტურისტის, კინოვარსკვლავის, კალიფორნიის გუბერნატორის და ვინ იცის, მომავალში იქნებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არნოლდ შვარცნეგერის, როგორც იტყვიან, ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

მომავალ წელს ამერიკული ტელეარხის "A and B"-ის ეკრანებზე გამოვა ბიოგრაფიული ფილმი სახელწოდებით "See Arnold Run" (პირობითი სახელწოდება "არნოლდის კარიერა"). ფილმი მიძღვნილი იქნება კულტურისტის, კინოვარსკვლავის, კალიფორნიის გუბერნატორის და ვინ იცის, მომავალში იქნებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არნოლდ შვარცნეგერის, როგორც იტყვიან, ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

მთავარი როლის შემსრულებლის მოძებნა ძალზე გართულდებოდა, ძალზე იოლი რომ არ ყოფილიყო. ეს პარადოქსი ძალზე მარტივად ასახსნელია. ლოს ანჯელესის ახლოს ცხოვრობს ახალგაზრდა შვარცნეგერის ინკარნაცია.

გაგრძელება B3 გვერდზე

პალესტინის ახალი მეთაურის "უმოქმედობა" სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას აფერხებს

ნიკა თარაშვილი

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა პალესტინის ავტონომიის ახლადარჩეულ ლიდერს უმოქმედობაში დასდო ბრალი. შარონი დაიმუქრა, რომ "მკვეთრ და შეუზღუდავ" ზომებს მიიღებს პალესტინური ექსტრემისტული ორგანიზაციების წინაღმდეგ. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების იმედი, რომელიც აბასის არჩევას ახლდა თან, ეჭვქვეშ დგება.

ისრაელის ძალოვანი სტრუქტურები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გააგრძელებენ ბრძოლას ტერორიზმთან, - ამის შესახებ კვირას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა.

"მიუხედავად პალესტინის ადმინისტრაციაში მომხდარი ცვლილებებისა, ჩვენ სინანულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მისი ხელმძღვანელობა არაფერს აკეთებს ტერორიზმის აღსაკვეთად," - ამბობს შარონი მთავრობის სხდომის გახსნისას.

გაგრძელება A5 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8

რევიუ | რევიუ | სპორტი | სპორტი | აქტუალური ისტორია | სხვადასხვა

ორი პრეზიდენტი, პლუს მესამე

პირველი გვერდიდან

რომელიც რესპუბლიკაში ყალიბდებოდა. ამის გამო, დღეს მისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტისათვის გამარჯვების მილოცვით პრეზიდენტმა, ერთი მხრივ, ხელისუფლების გადაბარებისათვის ბრძოლაში დამარცხება აღიარა, მეორე მხრივ კი, დამარცხებული მას მაინც მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ.

მის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მომავალს, პარლამენტის მიერ რამდენიმე ხნის წინ მიღებული "აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის შესახებ კანონი" უზრუნველყოფს. აღნიშნული უნიკალური დოკუმენტი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ოქტომბერში, პირველი არჩევნების შემდეგ მალევე შეიქმნა. ხოლო ნოემბრის დასაწყისში, კანონპროექტი პარლამენტს დასამტკიცებლად გადაეგზავნა. პარლამენტში მოხვედრილმა კანონპროექტმა უდიდესი სკანდალი გამოიწვია. მისი სრული ვერსია, ორ გაზეთში ერთდროულად გამოქვეყნდა. მოსახლეობა აღაშფოთა და გააკვირვა ავტორთა დიდმა მადამ. მოკლედ: პირველი პრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე არის პარლამენტის დეპუტატი, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით. ასევე სიცოცხლის ბოლომდე, ის არის მოქმედი პრეზიდენტის საპატიო მრჩეველი, მაგრამ, პროექტში ყველაზე საინტერესო მაინც ფინანსური საკითხია. აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის და მისი ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება. მხოლოდ არძინბას მკურნალობისათვის, ბიუჯეტიდან წელიწადში 50 ათასი აშშ დოლარი გამოიყოფა. პირველი პრეზიდენტის ხელფასი, მოქმედი პრეზიდენტის ხელფასის ტოლია. არძინბას გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის წევრები სისტემატურად მიიღებენ 50 საშუალო პენსიის ოდენობის თანხას. ამას გარდა, პრეზიდენტს უფლება აქვს, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ჰყავდეს მრჩეველთა საბჭო და ხელმისაწვდომი იყოს მისთვის სახელმწიფოს ყველა საინფორმაციო ბაზა. თავისთავად, იგივე ვრცელდება საბიუჯეტო სახსრებზეც. მაგრამ, ეს ყველაფერი არაა. პრეზიდენტის ოჯახის საკუთრებაში გადადის სახელმწიფო აგარაკი ბიჭვინთის მახლობლად და 3 ჰექტარი მიწა, რომელზეც, ისევ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით, აშენდება კიდევ ერთი აგარაკი.

კანონპროექტში განსაკუთრებით საინტერესო პუნქტებიცაა. მაგალითად: პრეზიდენტისა და მისი მეუღლის მიერ, როგორც აფხაზეთში, ისე მის გარეთ, აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებში VIP მომსახურება. არც კი ღირს საუბარი ისეთ პუნქტებზე, როგორიც არის, მაგალითად, პრეზიდენტის ხელშეუხებლობა და სხვა. ჩვენ გადავთვალეთ და გაირკვა, რომ აფხაზეთის პირველი პრეზიდენტი, გადასახადების გადამხდელებს, წელიწადში 200 ათასი აშშ დოლარი დაუჯდება.

საბოლოოდ, კანონი მცირე ცვლილებებით იქნა მიღებული. დოკუმენტისგან გამოწვეული შოკის მიუხედავად, დეპუტატებმა მის ძირითად პუნქტებს მხარი მაინც დაუჭირეს. დაიწუნეს მხოლოდ ოჯახის ფინანსური მადა, ტექსტში კონკრეტული ციფრების ამოღებით.

თუმცა, დასაწყისში, დეპუტატები კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ აღნიშნული კანონპროექტის განხილვისაც კი. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, აგორებული სკანდალის შემდეგ განაცხადა, რომ დოკუმენტი პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტის მიერ იქნა შემუშავებული. სინამდვილეში კი აღნიშნული კომიტეტი, "აფხაზეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის გარანტიების" შესახებ კანონპროექტს აბსოლუტურად განსხვავებული კონცეფციით ამუშავებდა.

საბოლოოდ, რესპუბლიკაში დაპირისპირების პიკის დროს, დეპუტატებმა კანონი მიიღეს. ამგვარად, თუ არძინბას მიერ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ აღნიშნული კანონის პუნქტები შესრულდება, აფხაზეთში გაჩნდება "აფხაზბაში". თუმცა, მაინც საეჭვოა, რომ სახელმწიფოში პოლიტიკურ პროცესებზე მისი გავლენის ხარისხი მაღალი იყოს.

არჩევნების მომდევნო დღეებში, ბევრი ელოდა, რომ შედეგების გაპროტესტების ხმაურიანი კამპანია აგორდებოდა. ელოდნენ სასამართლო სარჩელებს, დამკვირვებელთა დარღვევებზე განცხადებებს, მაგრამ, ეს ყველაფერი არ მოხდა. ბევრი ამ სიმშვიდეს არძინბასა და ახალ ხელისუფლებას შორის კულუარულ შეთანხმებებს უკავშირებს. 15 იანვარს, შაბათს, არძინბას, ბაგაფშისა და ხაჯიმბას შეხვედრა გაიმართა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კულუარული შეხვედრის თემა არძინბას უსაფრთხოების გარანტიები იყო. თუმცა, არც ბაგაფშს და არც ხაჯიმბას აღნიშნულ შეხვედრაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, შემოიფარგლნენ მხოლოდ იმის განცხადებით, რომ არძინბამ მათ გამარჯვება მიულოცა. 6 დეკემბრიდან დღემდე, ჟურნალისტებს არძინბასა და ოპოზიციის ლიდერების შეხვედრის შესახებ ინფორმაცია არ მიუღიათ. სავარაუდოა, რომ შეხვედრები არც შემდგარა. სამაგიეროდ, 6 დეკემბრამდე, ისინი კვირაში რამდენჯერმე ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაშინდელ შეხვედრებზე კონსესუსის მიღწევა ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ სწორედ ბაგაფში ცდილობდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები არძინბას უსაფრთხოების გარანტიების შესახებ. თუმცა, ეს უკანასკნელი ამჯობინებდა განმეორებით არჩევნებზე საუბარს, რადგან თავს დამარცხებულად არ თვლიდა. ამის გამო, სავარაუდოა, რომ ბაგაფშმა კიდევ ერთხელ გააჟღერა მისი ნოემბრის წინადადებები, რასაც არძინბა დაეთანხმა და პოლიტიკური ბრძოლა შეწყვიტა.

პრეზიდენტი - ახალი

თუ "აფხაზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის" შესახებ კანონს გადავხედავთ, მაშინ აფხაზეთში არჩეულია ორი პრეზიდენტი. რაულ ხაჯიმბას უფლება-მოვალეობები, თითქმის უტოლდება პრეზიდენტისას. დეკემბრის მოლაპარაკებების მთავარი შედეგი სწორედ "ორპრეზიდენტობა" იყო. ამასთან, მთავარი ამ კანონში არის ის, რომ იგი, მხოლოდ რაულ ხაჯიმბას ვიცეპრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე მოქმედებს. ამის შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ანუ, შემდეგ ვიცე-პრეზიდენტს იგივე უფლებები ექნება, რაც ძველს – ვალერი არშბას, რომელიც საბოლოო ჯამში, განსაკუთრებული დავალებების შესრულებაში დამხმარე იყო. ის, თუ რეალურად როგორ გადანაწილდება ძალები ბაგაფშსა და ხაჯიმბას შორის და რომელი იქნება უფრო ძლიერი მომავალ ბრძოლაში, ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდ კითხვის ნიშანს ბადებს ის, თუ როგორ გამოიყენებენ ისინი მათ ხელთ არსებულ ძალებს, ანუ, რამდენად ეფექტური იქნება მმართველი მანქანა, რომელიც მათ უნდა ჩამოაყალიბონ.

ბაგაფში იმ სახელმწიფოს ხელისუფლებაში მოვიდა, რომლის ხაზინაც ცარიელია, ეკონომიკის რეალური სექტორი ჩრდილშია, სოციალური სფერო თითქმის არ არსებობს, უმუშევრობის მაჩვენებელი, უპირველესად კი აღმოსავლეთ რეგიონებში, ძალიან მაღალია. ამასთან, ბაგაფში ოპოზიციის ლიდერი იმის გამო არ გამხდარა, რომ ქვეყანას კრიზისიდან გამოსვლის გაცილებით ეფექტური პროგრამა შესთავაზა, არამედ - იმის გამო, რომ იგი ავტორიტეტით სარგებლობდა უკვე ჩამოყალიბებულ ელიტაში და განსხვავებული პოლიტიკური ძალებისთვისაც კი მისაღები ფიგურა იყო. მისი ეკონომიკური პროგრამა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მისი ოპონენტების პროგრამებს და არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა. მეტიც, ბაგაფში 1997-1999 წლებში პრემიერის პოსტს იკავებდა და ამ წლებმა, ეკონომიკური წინსვლის გარეშე ჩაიარა. ერთადერთი პოპულისტური მომენტი, რასაც მისი მომხრეები აჟღერებდნენ, იყო განცხადება, რომ ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ, საბიუჯეტო ორგანიზაციებში, საშუალო ხელფასი თვეში 180 აშშ დოლარამდე გაიზრდებოდა. მოყვანილი იყო აღნიშნული ზრდის შესაძლებლობებიც.

ამგვარად, ბაგაფშის ფენომენი აფხაზეთის პოლიტიკური ბაზრის თაობაზე აშკარა წარმოდგენას იძლევა. ათწლეულზე მეტ დროში, სახელმწიფო სისტემამ ვერ შვა პოლიტიკოსები, რომლებიც საზოგადოებას ახალ იდეებსა და ლოზუნგებს შესთავაზებდნენ. არჩევნებზეც, შემოთავაზებული იყო ომის პერიოდში გამომზეურებული პოლიტიკოსების კოქტეილი. სწორედ ამის გამო, უამრავ დამკვირვებელს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობის შესახებ ეჭვი უჩნდება. მაგალითისათვის კი საუბრობენ სახელმწიფო კომპანია "ჩერნომორენერგოზე", რომლის ხელმძღვანელიც ბოლო წლებში ბაგაფში იყო. საათში ერთი კილოვატის თვითღირებულება 12 კაპიკს შეადგენს. თავის მხრივ, სახელმწიფო კომპანია, მას ორგანიზაციებსა და მოსახლეობაზე 8 კაპიკად ყიდის. ანუ, აფხაზეთის ერთ-ერთი საბიუჯეტო კომპანიის მუშაობა საწყისშივე არამომგებიანია. თუმცა, არის იმედი, რომ განვითარებისათვის სერიოზულ სტიმულს მიიღებენ რამდენიმე ხნის წინ შექმნილი კომერციული სტრუქტურები, რომლებიც არ უკავშირდებიან "ოჯახს" და მუშაობენ თანამედროვე საბაზრო სისტემების შესაბამისად. თუმცა, კიდევ საკითხავია, შეძლებენ თუ არა ისინი აფხაზეთის მონოპოლიზმისაკენ მიდრეკილება გადალახონ. მით უმეტეს, რომ ახლა ოჯახის მფარველობით შექმნილი, გაცილებით მდიდარი აფხაზური კომპანიების კეთილდღეობის არცთუ კარგი პერიოდი დგება. მათთვის შექმნილი ეკონომიკური კეთილდღეობის სისტემა შეწყვეტს არსებობას, თანაბარ კონკურენტულ ბრძოლაში კი ისინი, რასაკვირველია, ლიდერობას ახალ მოთამაშეებს დაუთმობენ. უპირველესად, კი ეს კომპანია "აკვაფონის" ტიპის მონოპოლისტებს ეხებათ, რომელიც ხელოვნურად გაზრდილი ფასებით ემსახურება კლიენტებს. ასევეა კომპანია "ინტერჰაივეი", რომელიც ნავთობპროდუქტების ბაზრის მონოპოლიზირებას ცდილობს. ჯერ არ დასრულებულა არჩევნები და უკვე გაჩნდა ინფორმაცია აფხაზეთის ბაზარზე რუსული მობილური ქსელის MTC-ის გამოჩენის შესახებ. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული კომპანიის მუშაობა, საბოლოოდ "აკვაფონის" გაკოტრებას გამოიწვევს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩნდება კითხვა - ახალი ხელისუფლების ახლობელი კომერციული სტრუქტურებიც მონოპოლისტები ხომ არ გახდებიან?

სხვა საკითხია სახელმწიფო ბიუჯეტი. ეკონომიკის რეალური სექტორი ჩრდილოვანია. ეკონომისტთა გათვლებით, ბიუჯეტი, რეალურად იღებს არაუმეტეს 20 პროცენტისა იმ თანხებიდან, რაც ხაზინაში გადასახადებიდან უნდა შევიდეს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეკლარირებული სიდიდე, წელიწადში მხოლოდ 14 მილიონ დოლარს შეადგენს, და ეს მაშინ, როდესაც სპეციალისტების გათვლით, 60 მილიონი აშშ დოლარი ჩრდილში რჩება. აფხაზეთის ბიუჯეტის პრობლემებზე საუბარი კიდევ დიდხანს შეიძლება, მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ვითარების გამოსწორების იმედებს, როგორც ეკონომიკურ სფეროში, ისე დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, მოსახლეობა უკავშირებს არა ახალ პრეზიდენტს, არამედ ალექსანდრ ანქვაბს, რომელიც პრემიერი გახდება. თუმცა, ჯერჯერობით, მისი ცნობილი უკომპრომისობა მხოლოდ კარგი პიარია. თუ უშუალოდ წესრიგის დამყარების კუთხით მისი მუშაობის პრაქტიკულ შედეგებზე ვისაუბრებთ, მაშინ, შევძლებთ მხოლოდ ომის პერიოდის გახსენებას, როდესაც მან, შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას, აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე გარკვეული წესრიგის დამყარება შეძლო. ამის შემდეგ, მას საკუთარი თავის გამოვლენის საშუალება არ მისცემია. არძინბას მიერ ის აფხაზეთიდან განდევნილი იყო. მაგრამ, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, მან პირობა დადო, რომ დააკავებდა ყველას, ვინც საჭირო იყო და ჩრდილოვანი პრივატიზაციის რევიზიას ჩაატარებდა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რუსული მხარე ნაკლებად თუ შეიტანს მასში ცვლილებებს. ყოველ შემთხვევაში, ბაგაფში არ იღლება ამის გაცხადებით. მეტად სავარაუდოა, რომ ეს სფერო საერთოდ არ განიცდის რეფორმას. თუმცა, ახალი ხელისუფლების რიგი წარმომადგენლების შეფასებები, არძინბას საგარეო პოლიტიკის თაობაზე, განსხვავდება. თუ ანქვაბი აცხადებს, რომ მას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნია, არშემდგარი ვიცე-პრეზიდენტი სტანისლავ ლაკობა საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობას მკაცრად აკრიტიკებს. განსაკუთრებით კი - ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესზე. მან განაცხადა, რომ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო პასიურ პოზიციას იკავებს და თავად არ სთავაზობს მშვიდობიანი პროცესებისათვის იდეებს. თუ როგორი იქნება ლაკობას გავლენა ხელისუფლებაზე, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ამის შესახებ საუბარი არ ყოფილა, გალის რაიონი ცვლილებებს მაინც ელის. კულუარებში უკვე საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ რეგიონში წესრიგის დამყარების მიზნით, სპეცოპერაციების ჩატარებაა მოსალოდნელი. მიზანი – საქართველოსთან საზღვრის კონტროლი და მოსახლეობისთვის კრიმინალების თავიდან მოშორებაა. თუმცა, სინამდვილეში მსგავსი მოქმედებები, სავარაუდოდ, პრობლემებს წარმოქმნის. ცნობილია, რომ კონტრაბანდისტთა ნაწილი, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, ოპოზიციის მხარდამჭერად გამოდიოდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, აფხაზეთში დღეს დემოკრატიული გზით, სისხლისა და იარაღის გარეშე, ხელისუფლების ცვლილებით გამოწვეული ეიფორია სუფევს. მაგრამ ვერავინ ამბობს ეს სისტემის სრულყოფილი ცვლილებაა თუ ელიტის ერთი ნაწილის სუფთა გამარჯვება მეორეზე. და არავის, მათ შორის არც თვით გამარჯვებულებს, არ გაუციათ პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ განვითარდება სახელმწიფო. მაგრამ მთელ ამ ვითარებაში ერთი დადებითი ფაქტორი მაინც არის - ბაგაფშმა შეძლო გამხდარიყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა. სულ რაღაც ერთ წელიწადში, რიგითი ჩინოვნიკიდან მან პრეზიდენტად ქცევა შეძლო. და დღეს, ის მართავს გარემოცვას და არა პირიქით, რითიც განსხვავდება იგივე ხაჯიმბასაგან. ხოლო კიდევ უფრო დამოუკიდებელ ანქვაბთან ერთად, რომელიც "ჟუჟყის გენერალური გამწმენდის" როლს შეასრულებს, იგი საკმაოდ ეფექტურად მომუშავე დუეტის შექმნას შეძლებს.

მოკლედ

კოკოითის ფანდი

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა თავის შეიარაღებულ ძალებს 50 პროცენტით ამცირებს. ამის შესახებ რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა საქართველოში სამდღიანი ვიზიტით მყოფ ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციის წევრებთან გამართული შეხვედრისას განაცხადა.

"მაშინ, როცა მეზობელი საქართველო, მრავალი მსოფლიო "დერჟავის" დახმარებით, მილიარდობით დოლარს ხარჯავს საკუთარი შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე, ქართველი ხალხი კი უდიდეს სოციალურ პრობლემებს განიცდის, ჩვენ, სამხრეთ ოსეთში, შეიარაღებული ძალების 50 პროცენტით შემცირების შესახებ გადაწყვეტილება მივიღეთ. ამის პარალელურად, სამჯერ გაიზრდება ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები და სოციალური დახმარებები," - ირწმუნებოდა ამერიკელ კონგრესმენებთან შეხვედრისას კოკოითი. **ინტერ-პრესი**

საქართველოს ხელისუფლებისგან საკონსტიტუციო ცვლილებების გადახედვას ითხოვენ

ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებისგან 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებების გადახედვას ითხოვს. ამის შესახებ კომიტეტის მოხსენებაშია აღნიშნული, რომელსაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ზამთრის სესიაზე განიხილავს.

ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტი ითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით 2004 წლის თებერვალში განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვენეციის კომისიის პოზიციის გათვალისწინებით გადახედოს.

როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, მომავალი არჩევნებისთვის შესაძლებელია შვიდპროცენტიანი ბარიერის დაწევა, რათა მრავალპარტიული პარლამენტის არსებობის პირობები შეიქმნას.

ევროსაბჭოში მიიჩნევენ, რომ საქართველომ აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისას არ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის პოზიცია. ვენეციის კომისია მიაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებები უფრო მეტ ძალაუფლებას უტოვებს პრეზიდენტს, რადგან მას აჭარის უზენაესი საბჭოს დათხოვნა შეუძლია.

ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებისგან დაუყოვნებლივ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე მოითხოვს, გადაისინჯოს ახლახან მიღებული, აჭარის ავტონომიის მოდელი. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

ქუთაისი. ქუთაისში მყოფი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქუთაისის ბავშვთა სოფელს ესტუმრა, სადაც მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ასამდე ბავშვი ცხოვრობს. მათ ბურჯანაძემ ნობათი და სხვადასხვა საჩუქრები გადასცა. გუშინვე ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო ბურჯანაძე თავის ადგილობრივ ოფისში, საქმიანი წინადადებებით, ქალაქის სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლებს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისში განთავსებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21-ე ბრიგადაში "ნდობის ყუთი" დამონტაჟდა. როგორც ბრიგადის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ნდობის ყუთი ჯარისკაცებისთვისაა განკუთვნილი. მათ შეუძლიათ, ნებისმიერი პრობლემის თაობაზე თავდაცვის მინისტრს მიმართონ, რომელიც ყუთში ჩაშვებულ წერილებს ყოველი თვის ბოლოს პირადად განიხილავს. **ინტერ-პრესი**

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში სიღარიბის დაძლევის საცდელი სქემის პროექტი

EuropeAid/120850/C/G/GE

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში (Delegation-Georgia@cec.eu.int) იწვევს წინადადებებს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სოფლებში სიღარიბის დაძლევის საცდელი სქემის პროექტის განსახორციელებლად. პროექტი ფინანსირდება ევროგაერთიანების "ტასისის" პროგრამით. ბიუჯეტი შეადგენს 3 000 000 ევროს.

სრული "ინსტრუქციები წინადადებების წარმომდგენთათვის" განთავსებულია ოფიციალურ ჟურნალში და ინტერნეტში შემდეგ მისამართზე:

http://europa.eu.int/comm/europeaid/cgi/frame12.pl

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მარტი, 1600 საათი ადგილობრივი დროით.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გაუსამართლეთ სხვადასხვა მოღვაწეები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

"მადონა და მისი ზღაპრები" — სასამართლო პროცესი

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

აფხაზეთის საკითხი ქართულ პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

ზ. გამსახურდიასათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა რუსულ-აფხაზური "ხაფანგის" კონტურები, ამიტომაც დათანხმდა პოლიტიკოსთა და მეცნიერ ექსპერტთა წინადადებებს და რჩევებს, კომპრომისებზე წასულიყო.

თვით აფხაზურ მოძრაობაში მთლიანობაში, გამოკვეთილად არც იდგა საკითხი დამოუკიდებლობის შესახებ, ცალკეული ლიდერები თვლიდნენ, რომ უნდა განესაზღვრათ, სუვერენიტეტის რა დონე უზრუნველყოფდა აფხაზეთის, როგორც სახელმწიფოს ქმედითუნარიანობას საქართველოს შემადგენლობაში.

აფხაზი პოლიტიკოსების ჯგუფი აპირებდა, მხარი დაეჭირა სუვერენული საქართველოს ფედერაციული მოწყობისათვის, რათა ამ გაერთიანებას დაეცვა ორი მკვიდრი ერის ინტერესები, რომელთაც, წარსულში, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ჰქონდათ ერთიანი სახელმწიფო. მათი აზრით, ფედერაციული გაერთიანების ჩარჩოში ორი ერი შეძლებდა, შეენარჩუნებინა ერთიანი ტერიტორია, ხოლო ფედერაციული სტრუქტურების საშუალებით მოხერხდებოდა საკუთარი ეროვნული მიზნების ინტეგრირება, საერთო, ქართულ-აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოში.

ზ. გამსახურდიას გარემოცვაში მსჯელობდნენ ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს მოწყობის ისეთ ფორმებზე, რომელიც მიემსგავსებოდა ყოფილი ჩეხეთსლოვაკეთის სახელმწიფო მოწყობის მოდელს. ამ მიზნით აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებიც მიმდინარეობდა.

სხვათა შორის, იმ პერიოდში ვ. არძინბაც არ იყო მკვეთრად რადიკალური. იგი ჩამოვიდა თბილისში და დიალოგი ჰქონდა ზ. გამსახურდიასთან. ცნობილია მისი განცხადებაც: "აფხაზეთის მთელი მრავალეროვნული მოსახლეობა დაიღალა კონფლიქტების უწესრიგობებისა და შინაგანი დაძაბულობისაგან. ამიტომ ყველა ერთნაირად არის დაინტერესებული თანხმობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს აღდგენით".

ამჟამად ძნელია სრული პროგნოზირება, თუ როგორ წარიმართებოდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობის გაგრძელების შემთხვევაში, მაგრამ ერთი ცხადია, დეკემბერ-იანვარში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა და კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ, საგრძნობლად შეაფერხა ქართული სახელმწიფოს განვითარება, ქართულ-აფხაზური დიალოგი შეწყდა, საქართველოში აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ კონფლიქტების გამწვავებით და ეთნოპოლიტიკური ტალღაზე ხელისუფლების მოპოვებით.



სოხუმის დაცემამდე ერთი დღით ადრე.

აფხაზეთის საკითხი შევარდნაძის ხელისუფლების პოლიტიკაში

კრემლის მიერ თბილისში დაგეგმილმა ე.წ. "პუტჩმა", გაგრძელება ქართულ-აფხაზურ ომში ჰპოვა. განხორციელდა მოსკოვის ჩანაფიქრი ქართული სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი თვით ქართველებმა შეასრულეს.

ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში და განსაკუთრებით მისი გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის გეგმის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოეთის ახალი ფორმის იმპერიის შექმნას, სადაც ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნები დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსით იქმნებოდნენ წარმოდგენილი და უშუალოდ მოსკოვს დაექვემდებარებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების ბოლოს მოვლენების განვითარებამ სულ სხვა ხასიათი მიიღო, არ შეცვლილა მოსკოვის გეგმა კავკასიასთან, კერძოდ საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხში. ზ. გამსახურდიას მმართველობის შეწყვეტის შემდეგ კრემლმა აქცენტი კვლავ ე. შევარდნაძეზე გადაიტანა.

თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ე. შევარდნაძე იყო, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ახალი ხელისუფლების მეთაურად მოიაზრებოდა, მაშინ დასაშვებია, რომ შევარდნაძისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგიც წინასწარ იყო ცნობილი. ხოლო აფხაზეთის ჩამოცილების წინაპირობად განისაზღვრა ქართველთა სამოქალაქო დაპირისპირება, ხელისუფლების მიერ სამეგრელოს არაერთი ძარცვა დარბევა და ეროვნული უთანხმოებისა და ღვარძლის გაღვივება.

ცხადია, შევარდნაძისაგან მოსალოდნელი არც იყო ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მოგვარება, ამიტომ იგი ყოველმხრივ ეცადა, კონფლიქტის მოწესრიგება გარეშე ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მიენდო (აშშ, რუსეთი, გაერო, ეუთო, დსთ და ა.შ), თუმცა შედეგი საყოველთაოდ ცნობილია.

სამწუხაროდ, შევარდნაძეს არ ჰქონდა აფხაზური პრობლემის გადაწყვეტის არანაირი კონცეფცია და თავისი როლისა და ფუნქციიდან გამომდინარე, მისთვის მისაღები იყო პროცესის გაწელვა და საკითხის გადაწყვეტის მთელი სიმძიმის შემდგომი ხელისუფლებისათვის გადაბარება. ყოფილი პრეზიდენტი არც მალავდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მომავალი თაობების მოსაგვარებელი პრობლემა იყო.

ე. შევარდნაძის გარემოცვაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თეორიულ ასპექტებზე უფრო მეტს მსჯელობდნენ, ვიდრე კონკრეტულ საკითხებზე. ერთი ჯგუფი მიიჩნევდა, რომ კონფლიქტის წარმოშობა და განვითარება უკავშირდებოდა მესამე ძალას და როგორც კი შეწყდებოდა გარეშე ძალების ჩარევა, კონფლიქტიც თავისთავად გაქრებოდა. მეორე ჯგუფი აღიარებდა კონფლიქტის ეთნიკურ ხასიათს, მაშინ როდესაც იგი ძირითადად მხოლოდ პოლიტიკური ხასიათისა იყო და ცოტა ჰქონდა საერთო ეთნიკურ დაპირისპირებასთან. მით უმეტეს, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს ხანგრძლივი ისტორია და ღრმა პოლიტიკური წინაპირობები ჰქონდა და მარტო საბჭოთა ხელისუფლებასთან არ იყო დაკავშირებული. შევარდნაძის გარემოცვის კიდევ სხვა ჯგუფი კონფლიქტს მითოლოგიურ საბურველში ხვევდა. ამასობაში ქართველთა დამარცხება საინფორმაციო ომშიც აშკარა გახდა. ხელისუფლებამ ვერ შეძლო კონკურენტუნარიანი საინფორმაციო მოდელის შექმნა. არ იქნა შესწავლილი და გაანალიზებული კრიზისის ისტორია. სახელმწიფო სტრუქტურებში არავინ ინტერესდებოდა ქართულ-აფხაზური, შესაძლო თანამშრომლობის ტექნოლოგიაზე.

შევარდნაძის პიროვნული და პოლიტიკური ტრაგედია ის იყო, რომ მას არ შეეძლო აფხაზური პრობლემის მოგვარება ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ 1972 წელს კრემლის იმ ძალების მიერ იყო რეკომენდირებული, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილების იდეას;

2. შევარდნაძე იძულებული იყო, დათანხმებოდა აფხაზეთის დაკარგვას, რადგანაც იგი მოსკოვის მხარდაჭერით მოვიდა საქართველოს ხელისუფლებაში და მისივე დახმარებით შეძლო მისი შენარჩუნება.

თუმცა ერთი პერიოდი, ევრო-დასავლური ქვეყნების სახელმწიფო ლიდერების მიერ მხარდაჭერილი შევარდნაძე შეეცადა კრემლის უღლისაგან განთავისუფლებას. 1992 წელს, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების და ლეგიტიმაციის გარკვეული ხარისხის მოპოვების შემდეგ, მან წამოიწყო ექსპერიმენტი, რაც კრემლის საფეოდალო რეგიონის - აფხაზეთის - შემომტკიცებაში მდგომარეობდა.

მოსკოვმა სწრაფად აუღო ალღო ვითარებას, შევარდნაძეს "ხაფანგი დაუგო" და ამ უკანასკნელის გამოუსწორებელმა შეცდომამ ქვეყანა ქართულ-აფხაზურ მცირე მასშტაბიან ომში ჩაითრია, რომელშიც, სხვა ძალებთან ერთად, რუსეთმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. აფხაზურ-რუსულმა მხარემ თვით ქართველთა დაპირისპირებისა და უთანხმოების პირობებში შეძლო შევარდნაძის ხელისუფლების საჯარისო ფორმირებების დამარცხება, ასიათასობით ქართველი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა. დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ასე დაისაჯა საქართველო რუსეთის მიერ შევარდნაძის გაუთვლელი და გამოუსწორებელი ნაბიჯების გადადგმის გამო.

სახელისუფლებო სავარძლის შენარჩუნების მიზნით შევარდნაძემ პოლიტიკური თამაშის დაბალანსების კურსი არჩია რუსეთსა და აშშ-ს შორის. პირველ შემთხვევაში ეს იყო იძულებითი, ხოლო მეორესთან მიმართებაში ნებაყოფლობითი ნაბიჯი.

ბალანსირების ასეთმა პოლიტიკამ მას წარმატება ვერ მოუტანა. იგი მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის, არც მესამე ქვეყნის, საკუთარი სამშობლოს საზოგადოებრივმა აზრმა მიიღო მისი ქცევის, მოქმედების, აზროვნებისა თუ თამაშის წესის პიროვნულ-პოლიტიკური ფილოსოფია.

დარწმუნებული ვარ, შევარდნაძის თაყვანისმცემლები ამ ვერსიას არ გაიზიარებენ და მათ სრული უფლება აქვთ, ჰქონდეთ საკუთარი აზრი, მაგრამ ცხოვრებისა და ისტორიის ლოგიკა შეურყეველია და სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის, რომ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტაში შევარდნაძე აბსოლუტურად უსუსური აღმოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ ელცინის ხელისუფლებას არც ჰქონდა აფხაზეთის მიმართ რაიმე განსაკუთრებული გეგმა შემუშავებული. იმ პერიოდში რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა ზატულინ-მიგრანიანის იმპერიული ხედვის და ტაქტიკის ჩარჩოებს ვერ სცილდებოდა და რუსეთში სომხური ლობის ინტერესებით იყო გაჯერებული.

ეტყობა, ელცინს ეს არც ანაღვლებდა. იგი შევარდნაძისაგან არ მოელოდა აფხაზურ საკითხში მკვეთრი გადაწყვეტილებების მიღებას. მოგვიანებით, როდესაც საქართველოს ლიდერმა კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა რუსეთთან მიმართებაში, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი აღშფოთებას ვერ მალავდა ამის გამო და აცხადებდა, რომ მას შევარდნაძე გამოჭერილი ჰყავდა და უფლებას არ აძლევდა, ასეთი რამ გაებედა.

რუსეთში პუტინის გაპრეზიდენტებამ აფხაზეთთან მიმართებაში ახალი მიდგომა გამოკვეთა. პუტინი მიხვდა, რომ შევარდნაძის მმართველობის დასრულების შემდეგ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი თაობა არაფრით არ იქნებოდა დავალებული რუსეთისაგან და რეალურად შეეცდებოდა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას. კრემლის ანალიტიკურმა სამსახურებმა გრძელვადიანი პროგრამების შედგენა დაიწყეს. შემუშავდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის "მშვიდობიანი მოგვარების" გეგმა, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის ეტაპობრივ შეყვანას რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სარწმუნოებრივ სივრცეში (საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება, ხოლო აფხაზეთთან საზღვრის ღიად დატოვება, აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის პასპორტის გაცემა, რეგიონისთვის საფინანსო და სამხედრო-ეკონომიკური დახმარების გაწევა, სხვადასხვა სფეროში კადრების მომზადება, სატრანსპორტო და სარკინიგზო საშუალებების ამოქმედება და ა.შ.).

კრემლის ამ კურსს შევარდნაძის ხელისუფლება დუმილით პასუხობდა და სხვადასხვა ილუზიებით იკვებებოდა. ამ კონტექსტში დამაჯერებელი ჩანს საქართველოს უშიშროების საბჭოს ანალიტიკური სამსახურის იმჟამინდელი ხელმძღვანელის პროფესორ ჰ. კუპრაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ კრემლის ამ ჩანაფიქრს ვერ გაუგო, მისთვის უცნობი დარჩა კრემლის გეგმის უხილავი თუ ხილული ბერკეტები და სულ სხვა მიმართულებით ტეხდა ვაი-ვიშს.

ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია ტერიტორიული მთლიანობის აღგენის გრძელვადიანი პროგრამის შესამუშავებლად და განსახორციელებლად. შევარდნაძე უფრთხოდა, მოეზიდა და გამოეყენებინა ამ მიმართულებით ქვეყნის გონიერი ინტელექტუალური ძალები. ის ამჯობინებდა, დაყრდნობოდა ცალკეულ პერსონებს, რომელთა პირფერობის ხარისხი მისდამი განუსაზღვრელი იყო, ხოლო ერთგულება დროებითი და თანამდებობრივი სავარძლის სიმაღლისა და სიმაგრის შესატყვისი.

უფრო მეტიც, პარადოქსულია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ათასობით დევნილი მოსახლეობიდან შეერჩია და ჩამოეყალიბებინა სულ მცირე, 1000 კაციანი მობილური, შეიარაღებული კონტინგენტი, რომელიც თავს დადებდა აფხაზეთის დაბრუნებისათვის და ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტის ახლო გარემოცვა მილიონობით თანხებს ფლობდა და აშკარად შორს იდგა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებისაგან.

ამჟამად, როდესაც ვაანალიზებთ ყოფილი ხელისუფლების საქმიანობის პერიპეტიებს, ნათლად ჩანს, რომ ცალკეული სამსახურები და რეგიონული "საფეოდალოები" "პოტიომკინის სოფლების" შექმნაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. როგორც ჩანს, ასეთი ბუტაფორიული სტრუქტურა იყო პრეზიდენტის თავჯდომარეობით არსებული ქვეყნის უშიშროების საბჭოც.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრუქტურაში არაერთი კეთილსინდისიერი და პროფესიონალი კადრი მოღვაწეობდა, მათ არ ეძლეოდათ სახელმწიფოებრივი აზროვნების გამოჩენის სრული შესაძლებლობა. თუ ისევ ჰ. კუპრაშვილს დავესესხებით: შევარდნაძის რეჟიმის ხელფეხშეკრული "ანალიტიკოსები" თუ "არაანალიტიკოსები" არსებულ სიტუაციაში პრიორიტეტს ანიჭებდნენ უშუალოდ პრეზიდენტის პირად უშიშროებას, რადგანაც იგი იმ ეტაპზე სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გარანტად მიიჩნეოდა.

შესაბამისად, არ არსებობდა ქვეყნის პრეზიდენტის ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა და ქვეყნის მეთაური მეტწილად ჭრელი გარემოცვის მიერ მოწოდებული სუბიექტური ინფორმაციით იკვებებოდა. უდავოა, აქ არც აფხაზეთის საკითხი იყო გამონაკლისი.

ამდენად, წლების განმავლობაში მიმდინარე ეს და სხვა ნეგატიური პროცესები ხელს უშლიდნენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოწესრიგებას. შესაბამისად, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის გამოიკვეთა სუბიექტური და ობიექტური ხასიათის ძირითადი წინააღმდეგობები:

1. პოლიტიკური ორიენტაციის სხვადასხვაობა (ევრო-დასავლური, რუსული, კავკასიური, პროქართული, პროაფხაზური);

2. ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისადმი სხვადასხვა მიდგომა (ქართული უნიტარული სახელმწიფო; ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფო; ქართულ-აფხაზური ფედერაცია; დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფო; აფხაზეთი - რუსეთის შემადგენლობაში შემავალი სუბიექტი);

3. ქართული და აფხაზური მხარეების მიერ განსხვავებული ისტორიული, ეკონომიკური, კულტურული და ტრადიციული ღირებულებების აღიარება;

4. ქართველი და აფხაზი ხალხების ჩამოშორება წარსულის და თანამედროვე ქართული და აფხაზური სინამდვილისაგან. ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატიის გამოუყენებლობა;

5. ქართულ-აფხაზური დაპირისპირების წარმოშობის, მიმდინარეობის და შედეგების ურთიერთგანსხვავებული ისტორიული, სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება.

თბილისს თურქული ჰოლდინგის "ნუროლის" დელეგაცია ეწვია

მას შემდეგ, რაც თბილისის მერმა და სოფლის მეურნეობის ახალმა მინისტრმა, თბილისის არქიტექტურის სამსახურის ყოფილმა შეფმა თურქეთში მოლაპარაკებები დაასრულეს, თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის მოწვევით, გუშინ საქართველოს დედაქალაქს ორდღიან ვიზიტად თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი და წარმატებული ჰოლდინგის - "ნუროლის" დელეგაცია ეწვია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ჰოლდინგის დამფუძნებელი ნურეთინ ჩარმიკლი, გენერალური კოორდინატორი ჰუსნუ დოღანი, სამშენებლო პროექტების მენეჯერი მუამერ არიკანი და გზების მშენებლობის პროექტების მენეჯერი აბიდინ აკბულთი.

თბილისის მერიის პრეს-სამსახურში აცხადებენ, რომ "ნუროლის" საქმიანობა დაახლოებით 50 სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მათ შორის, გზებისა და ხიდების მშენებლობას, მსუბუქ და კვების მრეწველობას, სამხედრო პროდუქციის წარმოებასა და ბინათმშენებლობას.

ცხადია, საქართველოში ჰოლდინგის სამშენებლო მიმართულებებით არიან დაინტერესებული - სავარაუდოდ ჰოლდინგს თბილისის გზების აღდგენაში მონაწილეობის მიღებას შესთავაზებენ. ამით აიხსნება დელეგაციაში გზების მშენებლობის პროექტების მენეჯერის ყოფნა, რომელიც არსებულ სიტუაციას ადგილზე გაეცნობა. თუმცა, ჰოლდინგის ინტერესები მხოლოდ თბილისით არ შემოიფარგლება.

დღეს ჰოლდინგის წარმომადგენლები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილსა და თბილისის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს შეხვდებიან. ამ შეხვედრებზე მხარეები მომავალი მრავალმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტებს განსაზღვრავენ.

24 საათი

პროგნოზები 2020 წლისთვის

დიანა ჩაჩუა

საერთაშორისო მედიამ ამერიკის წამყვანი ანალიტიკოსების მომდევნო 15 წლის ეკონომიკური პროგნოზები გაავრცელა. ამერიკელები ვარაუდობენ, რომ 15 წლის შემდეგ ჩინეთი და ინდოეთი აშშ-ს წამყვან ეკონომიკურ პოზიციებში შეეცილება. "ალ-ქაიდა" კი ამ პერიოდისთვის თავის შესაძლებლობებს ამოწურავს, თუმცა მას მასშტაბებით ნაკლები, მაგრამ არანაკლებ საშიში ტერორისტული დაჯგუფება ჩაენაცვლება.

ამერიკის დაზვერვის ნაციონალური საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო პროგნოზებში, 2020 წლისთვის მსოფლიოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მსჯელობისას საბჭო ოთხ სავარაუდო სცენარს განიხილავს: მსოფლიო, სადაც აზიური ეკონომიკური ექსპანსია დომინირებს; მსოფლიო, სადაც აშშ წამყვანია და გლობალურ ცვლილებებს უწევს ორგანიზებას; მსოფლიო, სადაც ადგილი ექნება ისლამური სახალიფოს გაძლიერებას, რომელსაც დასავლურ ნორმებთან და ღირებულებებთან შეწინააღმდეგება შეეძლება და ბოლოს, ტერორისტულ მუქარებზე აგრესიული რეაქცია უსაფრთხოების გამკაცრებული ზომების შემოღებას გამოიწვევს. ამასთან, ამერიკელი ანალიტიკოსების პროგნოზით, 2020 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკა 80 პროცენტით გაიზრდება, ხოლო შემოსავლების საშუალო დონე 50 პროცენტით მოიმატებს. ამავე პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ აშშ ეკონომიკაში წამყვან პოზიციებს შეინარჩუნებს, ჩინეთი და ინდოეთიც გაიმყარებენ პოზიციებს.

ამერიკის დაზვერვის ნაციონალური საბჭოს ექსპერტების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ მსოფლიოში ტურიზმის განუწყვეტელი განვითარება და გამარტივება აშშ-ს უსაფრთხოებისთვის დამატებითი დარტყმა იქნება. იგივე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ბუმი, რომელიც ინდოეთის და ჩინეთის განვითარებას გამოიწვევს, რადიკალური ისლამური იდეოლოგიების გავრცელებას შეუწყობს ხელს - ნათქვამია დოკუმენტში.

"ჩვენ შევეცადეთ, თავიდან აგვეცილებინა ის, რითიც ხშირად სცოდავენ სადაზვერვო უწყებები, კერძოდ კი - არ გაგვეკეთებინა შემაშფოთებელი პროგნოზები," - განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ რობერტ ხატჩინგსმა.

კიდევ ერთ რუს ბიზნესმენს ფინანსური უსიამოვნება ეწვია

დიანა ჩაჩუა

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი რუსი ბიზნესმენის რომან აბრამოვიჩის წინააღმდეგ შვეიცარიის ბანკში ცხრა მილიონი ფუნტის ოდენობის სარჩელის შეტანას აპირებს. მოტივი კრედიტის დაუბრუნებლობაა. **"რომან აბრამოვიჩს, ალბათ, ჰგონია, რომ შვეიცარიაში იგივე გაუვა, რაც რუსეთში, მაგრამ ეს ასე არ იქნება და ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ,"** - აღნიშნა ბანკის ხელმძღვანელმა.

2003 წელს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა აბრამოვიჩის, მისი პარტნიორის ევგენი შვიდლერის და კომპანია "სიბნეფტის" სახელზე წერილი გააგზავნა კრედიტის დაბრუნების მოთხოვნით. თუმცა, როგორც ბანკში აცხადებენ, არანაირი საპასუხო წერილი არ მოსულა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1998 წლის რუსულ კრიზისამდე ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა რუსული მცირე ბიზნესის კრედიტებით დახმარების პროგრამის ფარგლებში რუსულ ბანკ "ჟბჟ-ადპ "-ს 33 მილიონი დოლარი გადასცა. თუმცა, რუსული ფინანსური კრიზისის შემდეგ მხარეები მოლაპარაკებებს მართავდნენ ვალის დაბრუნების გზების საპოვნელად. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი კრედიტის მოთხოვნის უფლებას, 14 მილიონი დოლარის კრედიტის სახით, "Runicom S.A."-ს დაუთმობდა. მაგრამ, გარკვეული დროის შემდეგ, როცა ევროპის ბანკმა "Runicom S.A."-ს კრედიტის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა, აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს ფული არ ჰქონდა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ერთ-ერთ დახურულ წერილში ნათქვამია, რომ "სიბნეფტი," დე ფაქტო თუ "ჩრდილში," "Runicom"-ს ხელმძღვანელობდა. **"კომპანია "სიბნეფტმა", ასევე აბრამოვიჩმა და შვიდლერმა, როგორც "Runicom"-ის ყოფილმა ხელმძღვანელებმა, კომპანიის აქტივები ყოველგვარი ადეკვატური მოტივის გარეშე ვინმე მესამე პირის სასარგებლოდ გადაიყვანეს,"** - ნათქვამია წერილში.

როგორც "ბიბისი" იუწყება, 2000 წელს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა აღნიშნულ კრედიტზე რუსეთში გამართული სასამართლო პროცესი წააგო. საქმე იმაშია, რომ "Runicom"-მა წარმოადგინა დოკუმენტები, რომლის თანახმადაც, კომპანიას ევრობანკის მიმართ ვალი არ გააჩნდა. თუმცა, ბანკში დღემდე დარწმუნებული არიან, რომ დოკუმენტები გაყალბებული იყო.

საინტერესოა, რომ უახლოეს დღეებში ბრიტანეთის ერთ-ერთ არხზე გავა დოკუმენტური ფილმი, სადაც ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით ირწმუნებიან, რომ რუსმა მილიარდერმა აბრამოვიჩმა მსხვილი კორპორატიული სახსრები დახარჯა ორი იახტის შესასყიდად და ასევე, 12 ათასი ფუნტი - საკუთარი მეუღლის ირინას კოსმეტიკური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, თვით კომპანია "სიბნეფტი", აბრამოვიჩი და შვიდლერი ევრობანკის მოთხოვნებს ყოველთვის უარყოფდნენ. ისინი ირწმუნებიან, რომ "Runicom SA"-მა კრედიტი მთლიანად დაფარა.

მოკლედ

საქართველოს საფონდო ბირჟამ ვაჭრობის მოცულობა გაზარდა

მიუხედავად იმისა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, პრაქტიკულად, განუვითარებელია, 2004 წელს საქართველოს საფონდო ბირჟამ, არსებობის ოთხწლიან ისტორიაში რეკორდული მაჩვენებლები დააფიქსირა.

საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის (GIG) მიერ გამოქვეყნებული მასალების თანახმად, საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით, გასულ წელს 1 094 გარიგება, საერთო თანხით 46 676 153 ლარი, განხორციელდა, რამაც ფულად გამოხატულებაში 27-ჯერ გადააჭარბა 2003 წლის მაჩვენებლებს.

2004 წლის შედეგების მიხედვით, საქართველოს საფონდო ბირჟის მამოძრავებელი იყო შემდეგი სააქციო საზოგადოებები: "გაერთიანებული ქართული ბანკი", "ფოთის გემთსაშენი", "საქართველოს ბანკი", "საქართველოს სახალხო ბანკი", "ფოთის წისქვილქარხანა", "კასპიცემენტი" და "იადონი".

GIG-ის ანალიზით, გასულ წელს საფონდო ბირჟაზე იმატა ინვესტორთა დაინტერესებამ ღვინის მწარმოებელი საწარმოებით. საფონდო ბაზარზე გარიგებები განხორციელდა სს "ახმეტის ღვინის ქარხანაში", "ბაგრატიონში", "ენისელში", "კრისტალში" და "თბილღვინოში".

24 საათი

"ენგურჰესმა" მუშაობა შეწყვიტა

თამარ ივანიძე



ენგურჰესის ტრანსფორმატორზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, აჭარის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის ელექტრომომარაგება 18 იანვრამდე შეიზღუდება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში, 15 მარტიდან "ენგურჰესმა" მუშაობა შეწყვიტა. ჰიდროელექტროსადგურის გაჩერება ჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემადგენელი ნაწილია და "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციას ისახავს მიზნად.

ენერგეტიკის სამინისტროს, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან და "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან" ერთად, უკვე შედგენილი აქვს საქართველოში ელექტროენერგიის მოთხოვნა-მიწოდების მოსალოდნელი ბალანსი. დამუშავებულია საჭირო ტექნიკური, ფინანსური და ორგანიზაციული საკითხები. ამის გათვალისწინებით, "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, რომ ჰესის გაჩერება ელექტრომომარაგების გაუარესებას არ გამოიწვევს.

მიუხედავად ამისა, გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ენგურჰესის ტრანსფორმატორზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, აჭარის, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის ელექტრომომარაგება 18 იანვრამდე შეიზღუდება.

ამის შესახებ გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მთავარმა დისპეტჩერმა უჩა უჩანეიშვილმა განაცხადა.

როგორც უჩანეიშვილმა აღნიშნა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის ფარგლებში ავტოტრანსფორმატორზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ენერგოსისტემაში რეჟიმები შეიცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ აჭარის ელექტრომომარაგება განახევრდება, სამეგრელოსა და გურიაში ელექტროენერგიას მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები მიიღებენ, ხოლო აფხაზეთს ელექტრომომარაგება 30-35 მეგავატით შეუმცირდება.

"ტრანსფორმატორზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები 18 იანვრის 16.00 საათამდე დასრულდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ, რეგიონებში ელექტრომომარაგება დადგენილი გრაფიკების მიხედვით განახლდება," - განაცხადა უჩანეიშვილმა.

მთავარი დისპეტჩერის განცხადებით, აფხაზეთის ელექტრომომარაგების შემცირება შეთანხმებულია აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. ამიტომ, მათგან პრობლემები "სახელმწიფო ელექტროსისტემას" არ შეექმნება.

სადერივაციო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება ჯერ კიდევ შარშან იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ პროექტის განმხორციელებელ კონტრაქტორ რუსულ კომპანია "ტექნოპრომექსპორტთან" გაფორმებული შეთანხმება ჩაიშალა. გვირაბის და თაღოვანი კაშხლის რეაბილიატაციის პორექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 17,3 მლნ. დოლარით დააფინანსა.

აჭარა პრივატიზაციიდან მიღებული თანხებით უკმაყოფილოა

მიუხედავად იმისა, რომ გასული ოთხი თვის განმავლობაში აჭარში სახელმწიფო ქონების დაახლოებით ასამდე ობიექტი გაიყიდა, ადგილობრივმა ბიუჯეტმა მხოლოდ 2 მილიონ 600 ათასი ლარი მიიღო. სამაგიეროდ, რეგიონში გაყიდული სამი სასტუმროდან ცენტრალურ ბიუჯეტში, სულ მცირე, 7 მილიონი ლარი შევიდა.

ეთერ მამულაშვილი

ფინანსთა სამინისტროში ამას მოქმედი კანონმდებლობით ხსნიან, რომელიც სახელმწიფო ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლების განაწილებას ეხება. სახელმწიფო ქონებად კლასიფიცირებული ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალის 100 პროცენტი ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება.

აჭარაში გასულ წელს სამი ყველაზე სარფიანად გაყიდული ობიექტი სასტუმროები იყო: "თანამგზავრის", "ინტურისტისა" და "ივერიის" პრივატიზებიდან სახელმწიფომ 4 მილიონ 63 ათასი აშშ დოლარი მიიღო. ეს თანხა ბიუჯეტში კაპიტალური შემოსავლების მუხლით ჩაირიცხა და მთლიანად მიმდინარე ხარჯებში გაიწერა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ექსპერტი ამ სასტუმროების ქვეყნისთვის მომგებიან ფასად გაყიდვას აღიარებს, მათზე გამოცხადებული აუქციონის დროს, დაინტერესებულ კომპანიებს შორის სერიოზულ კონკურენციას ადგილი არ ჰქონია. ამას აუქციონში მონაწილე კომპანიებისა და ფიზიკური პირების რაოდენობის გარდა, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სამივე ობიექტი, გამოცხადებულ ფასთან შედრებით, 20 ათას აშშ დოლარზე მეტად არ გაყიდულა.

მეტიც, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დღეს აღიარებენ, ბევრ უცხოურ ბიზნეს-ჯგუფს, აჭარაში გასაყიდი ობიექტის საწყისი ფასი ეძვირებოდა.

სასტუმრო "ინტურისტი" უცხოელ ბიზნესმენებს ეძვირათ

სასტუმრო "ინტურისტი" პირველი სახელმწიფო ობიექტი იყო, რომლითაც საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის პროცესი არცთუ წარმატებულად დაიწყო. სექტემბრის შუა რიცხვებში ჩასატარებელი აუქციონი თვის ბოლომდე გადაიდო. სამინისტროს ხელმძღვანელები ირწმუნებოდნენ, რომ სასტუმროს შეძენით დაინტერესებულმა პირებმა, გასაყიდი ობიექტის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, დამატებით კიდევ ორი კვირა მოითხოვეს.

აუქციონის გადადების ეს არგუმენტი დღეს ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საბოლოოდ აუქციონში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა ფიზიკურმა პირმა: ჯუმბერ ხატიაშვილმა და ლევან თურმანიძემ. აუქციონში გამარჯვებული და, შესაბამისად, "ინტურისტის" ახალი მფლობელი ეს უკანასკნელი გახდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლევან თურმანიძეს საკუთარი ბიზნესი აქვს რუსეთში. ის მოსკოვში ერთ-ერთი მსხვილი რუსული ავიაკომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელია.

სხვათა შორის, ეკონომიკური განვითარების მაშინდელი მინისტრი კახა ბენდუქიძე აცხადებდა, რომ "ინტურისტით" განსაკუთრებულად დაინტერესებული იყვნენ თურქული და რუსული ბიზნესჯგუფები (რუსები მოსკოვში სასტუმროების "კოსმოსისა" და "პრიბალტიკას" მფლობელები იყვნენ), რომლებიც სასტუმროს სანახავად და შესასწავლად ბათუმშიც იმყოფებოდნენ. დღეს ცნობილი ხდება, რომ ხსენებულმა ბიზნეს-ჯგუფებმა აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე სასტუმროზე გამოცხადებული ფასის გამო თქვეს უარი. **"მათ ჩვენი ფასი ეძვირათ. თურქებმა თქვეს, რომ ცოტა უფრო მეტ ფასად 4-5 მილიონ აშშ დოლარად თურქეთში მოქმედი 4-ვარსკვლავიანი სასტუმროს ყიდვა შეიძლებოდა,"** - იხსენებს სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის უფროსი თამაზ ტაბატაძე.

"ინტურსისტის" საწყისი ფასი 3 მილიონი აშშ დოლარი იყო. სხვათა შორის, ცალკეული ექსპერტების შეფასებით, სასტუმროზე გამოცხადებული ფასი საკამოდ მაღალი იყო, რაც პრინციპში 16 სექტემბერს დანიშნული აუქციონის ჩაშლის მიზეზიც შეიძლება ყოფილიყო. ლევან თურმანიძემ, საბოლოოდ, "ინტურისტში" 3 მილიონ 20 ათასი დოლარი გადაიხადა.

სასტუმრო "ინტურისტი", რომლის აქციათა 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო იყო, გასული წლის სექტემბრის ბოლოს გაიყიდა. იმ დროისთვის სასტუმროს კრედიტორული დავალიანება 377.249 ლარი, ხოლო დებიტორული მხოლოდ 2352 ლარი იყო. "ინტურისტის" საწესდებო კაპიტალში, რომელიც პრივატიზებამდე 370 ათას ლარს აჭარბებდა, შესული იყო 5460 კვ.მ მიწის ფართობიც. სასტუმროს საერთო ფართი კი 10.528 კვადრატული მეტრი იყო. საინტერესო დეტალი: იმ დროს, როცა "ინტურისტი" სახელმწიფოს საკუთრებაში იყო, მისი წლიური მოგება 3 ათას ლარს ოდნავ აღემატებოდა.

როგორც სასტუმროს ახალი მეპატრონის ძმა აცხადებს, ამჟამად მიმდინარეობს "ინტურისტის" რეკონსტრუქციის პროექტზე აქტიური მუშაობა, რომელიც უახლოეს ერთ კვირაში დამთვრდება. სარემონტო სამუშაოები აქ გაზაფხულზე დაიწყება და სასტუმრო ექსპლუატაციაში აგვისტოში შევა. ლევან თურმანიძის ძმის, მურმან თურმანიძის ინფორმაციით, რომლიც დაახლოებით ერთი თვის წინათ ბათუმში მდებარე სასტუმრო "თანამგზავრის" მესაკუთრე გახდა, "ინტურისტს" ძველი ისტორიული სახე შეუნარჩუნდება, თუმცა ის მალე ევროპული სტადარტების ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გახდება. ამჟამად სასტუმროში 110 ადამიანია დასაქმებული, თუმცა როგორც მურმან თურმანიძე ჩვენთან საუბარში აცხადებს, მათი რაოდენობა სასტუმროს განახლებისთანავე საგრძნობლად გაიზრდება.

სასტუმრო "თანამგზავრის" მყიდველს კონკურენტი არ ჰყავდა

"თანამგზავრის" გაყიდვიდან ცენტრალურმა ბიუჯეტმა მხოლოდ 173 ათასი აშშ. დოლარი მიიღო, რადგან სახელმწიფო წილი ამ ობიექტში მხოლოდ 40 პროცენტი იყო დარჩენილი. "თანამგზავრის" ახალი მფლობელი მისი ყოფილი გენერალური დირექტორი და სასტუმრო "ინტურისტის" მეპატრონის ძმა მურმან თურმანიძეა. სხვათა შორის, ის 25 ნოემბერს გამართულ აუქციონში უკონკურენტო იყო. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "თანამგზავრის" საწყისი ფასი 170 ათასი აშშ დოლარი გამოაცხადა.

სასტუმროს აქციათა დანარჩენი 60 პროცენტი შპს "თანამგზავრს" 1994-1995 წლებში გადაეცა. დაახლოებით ათი წლის წინათ სასტუმრო კაპიტალურად გარემონტდა, თუმცა მისმა ხელმძღვანელობამ შესრულებული სამუშაოების ღირებულება დროულად ვერ აუნაზღაურა "თანამგზავრს" და ვალის სანაცვლოდ მაშინდელმა ხელისუფლებამ სასტუმროს აქციების საკონტროლო პაკეტი, 60 პროცენტი, ხსენებულს შპს-ს გადასცა. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, "თანამგზავრის" იმდროინდელი ვალის მოცულობა, თუმცა ამაოდ. დღეს ამ ციფრის გახსენება მურმან თურმანიძეს ძალიან უჭირს.

სასტუმროს, რომლის საწესდებო კაპიტალი პრივატიზებამდე 538.810 ლარი იყო, 644.337 ლარიანი კრედიტორული დავალიანება გააჩნია. დებიტორული დავალიანება "თანამგზავრს" აუქციონამდე არ ჰქონია. სასტუმროს საწესდებო კაპიტალში შესულია 930 ათასი კვადრატული მეტრის მიწაც. ამჟამად "თანამგზავრში" დასაქმებულია 50 ადამიანი, თუმცა, როგორც მურმან თურმანიძე ამბობს, უახლოეს მომავალში მათი რაოდენობის გაზრდა იგეგმება.

რაც შეეხება "თანამგზავრის" ახალი მფლობელის სამომავლო გეგმებს, მურმან თურმანიძე "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნავს, რომ "თანამგზავრი" უახლოეს მომავალში სამვარსკვლავიანი სასტუმრო გახდება, საკუთარი საცურაო აუზებით, ჩოგბურთის კორტებითა და სხვა სპორტული მოედნებით. სასტუმროში განსახორციელებელი ინვესტიციები, რომლის ოდენობა რამდენიმე მილიონი ლარია, მოზიდული იქნება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წყაროებით.

"თანამგზავრში" ამჟამად სარემონტო სამუშაოები უკვე დაწყებულია, რომელიც საკურორტო სეზონამდე აუცილებლად დასრულდება. ზაფხულის მოახლოებისთანავე სასტუმროს ახალი მესაკუთრე მასშტაბური სარეკლამო კამპანიის დაწყებას აპირებს, რომელიც, საქართველოს გარდა, მეზობელ სახელმწიფოებსაც მოიცავას.

სასტუმრო "ივერიის" ყიდვია ოფშორულ კომპანიას სურდა

სასტუმრო "ივერია" ერთ-ერთი ბოლო ობიექტი იყო, რომლითაც აჭარაში და მთლიანად საქართველოში 2004 წელს პრივატიზაციის პროცესი დასრულდა. აუქციონი 9 დეკემბერს ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას სამი, აქედან ორი ქართული და ერთი უცხოური ბიზნესკომპანია იღებდა. "ივერიის" საწყისი ფასი 850 ათასი აშშ დოლარი იყო. აუქციონში გამარჯვებულმა სს "ქართულმა შაქარმა" სასტუმროში 870 ათასი გადაიხადა. აქედან 100.000 გასული წლის ბიუჯეტში ჩაირიცხა, დარჩენილი 770 ათასი კი, რომელიც "ქართულმა შაქარმა" ახალახან გადარიცხა, 2005 წლის ბიუჯეტში არის ასახული. "ივერიაზე" პრეტენზიას, სს "ქართული შაქრის" გარდა, შპს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" და ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული, უკრაინული კომპანია, "ქერო-ლაინი" გამოთქვამდნენ. ეს უკანასკნელი, გარდა იმისა, რომ ტურისტულ ბიზნესშია ჩართული, აქტიურად და წარმატებულად მოღვაწეობს კავშირგაბმულობაშიც.

სასტუმროს ახალი მფლობელი შენობის ძირფესვიან რეკონსტრუქციას იწყებს, რომელიც, სავარაუდოდ, ზაფხულამდე დასრულდება. სს "ქართული შაქრის" წარმომადგენელმა ირაკლი ხაჩიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ამჟამად მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა, რომელსაც შესათანხმებლად უახლოეს მომავალში ადგილობრივ ხელისუფლებას, მათ შორის, არქიტექტურის საქალაქო სამსახურს წარუდგენენ. სასტუმროს იერსახის შეცვალაზე უცხოელი დიზაინერებიც მუშაობენ. სპეციალურად "ქართულმა შაქარმა" ისინი ამ ცოტა ხნის წინათ ევროპის რამდენიმე ქვეყნიდან ჩამოიყვანა. საკუთარი სახსრების გარდა, სააქციო საზოგადოება, უცხოური კაპიტალის მოზიდვასაც აპირებს, იმიასთვის, რომ განახლებული "ივერია" საერთაშორისო სტანდარტებს სრულად შეესაბამებოდეს.

კომერციულის გარდა, ახალ სასტუმროს საქველმოქმედო დატვირთვაც ექნება. როგორც ირაკლი ხაჩიძე ამბობს, ყოველ სეზონზე "ქართული შაქრის" თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები უფასოდ მიიღებენ "ივერიაში" დასასვენებელ საგზურებს.

პალესტინის ახალი მეთაურის "უმოქმედობა" სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას აფერხებს

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, ის ფაქტი, რომ პალესტინელებმა ახალ ლიდერად "მშვიდობისმოყვარე" მაჰმუდ აბასი აირჩიეს, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობას ერთბაშად ვერ მოიტანდა. ამის შესახებ, სავარაუდოდ, ისრაელის ხელისუფლებასაც კარგად უნდა სცოდნოდა. სწორედ ამიტომ არის გასაკვირი შარონის მკაცრი ტონი ახლადარჩეული აბასის მიმართ.

ის, რომ აბასს სამშვიდობო პროცესის განახლების საქმეში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა თავისივე თანამემამულეებისგან შეხვდებოდა (პალესტინაში ექსტრემისტული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ძალიან სერიოზულ გავლენას ინარჩუნებენ - პრაქტიკულად, ვერ ხორციელდება კონტროლი მათზე), თავიდანვე ცნობილი იყო. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, რამდენიმე საათის წინ თანამდებობაზე მოსული ლიდერისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება (მით უმეტეს, რომ ტერაქტები შაბათს მის ინაუგურაციამდე მოხდა), რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

მაინც რას შეიძლება ნიშნავდეს შარონის განცხადება? იქნება იმას, რომ ისრაელის ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე პოზიციების განმტკიცებას ცდილობს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომის წინ?

ნიშანდობლივია, რომ არჩევნებზე აბასის შთამბეჭდავმა გამარჯვებამ მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრად გაზარდა და, შესაბამისად, პალესტინელთა პოზიციაც გააუმჯობესა.

ასე რომ, შეიძლება, ისრაელის მხრიდან ფაქტებით მანიპულირების მცდელობასთანაც გვაქვს საქმე. პარასკევს მომხდარი სარაკეტო დარტყმა, ორი დღის წინ განხორციელებული აფეთქება საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე (შეგახსენებთ, ამ უკანასკნელმა ისრაელის 6 ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა) შარონს "უფლებას" აძლევს, განაცხადოს: **"ასე გაგრძელება შეუძლებელია, არმიამ და სპეცსამსახურებმა მითითება მიიღეს, გააააქტიურონ ანტიტერორისტული საქმიანობა, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის, ხაზს ვუსვამ, შეზღუდვის გარეშე, იქნება განხორციელებული მანამ, სანამ თავად პალესტინელები გულხელდაკრეფილნი იქნებიან,"** - ამბობს შარონი.

პირველი ტერაქტისთანავე, ისრაელმა ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტი გაწყვიტა პალესტინის ხელმძღვანელობასთან და ღაზას სექტორი, ფაქტობრივად, სრულ ბლოკადაში მოაქცია.

ძნელია ივარაუდო სინამდვილეში, რა (ან ვინ) იყო შარონის ძირითადი სამიზნე, თუმცა აშკარაა, გარკვეული შედეგები მუქარამ უკვე გამოიღო. ისრაელის პრემიერ-მინისტრის განცხადებიდან რამდენიმე საათში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ (ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ იასირ არაფატის სიკვდილის შემდეგ მაჰმუდ აბასი აირჩიეს) პალესტინის ყველა გასამხედროებულ ორგანიზაციას მოუწოდა, შეწყვიტოს თავდასხმები ისრაელის სამიზნეებზე.

როგორც ჩანს, როლები შეიცვალა, ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება შეიძლებოდა დარჩენოდა გარედან დამკვირვებელს.

შაბათს რამალაში ფიცის დადებისას ბევრის მთქმელი იყო აბასის განცხადება - **"ჩვენ ისრაელს ხელს ვუწვდით, რათა მშვიდობა დავამყაროთ, მაგრამ თანამშრომლობა არა სიტყვებით, არამედ კეთილი საქმეებით მიიღწევა."**

პალესტინის ახალი ლიდერი ყველა ღონეს ხმარობს, რათა პალესტინელებზე - როგორც ტერორისტებზე - დამკვიდრებული სტერეოტიპი გააქარწყლოს.

"ჩვენ ისრაელს ადეკვატური ნაბიჯისკენ მოვუწოდებთ. ძალადობის მოჯადოებული წრის გასარღვევად კონტაქტები და მოლაპარაკებები კი არ უნდა შევწყვიტოთ, არამედ პირიქით, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ," - ასე გამოეხმაურა პალესტინის წარმომადგენელი ისრაელის ხელისუფლების მკაცრ პოზიციას. ებრაელებს კი მიაჩნიათ, რომ აბასის მხრიდან რეალური ზომების მიღებამდე არანაირი მოლაპარაკებები არ უნდა შედგეს.

გულმოწყალების გეოპოლიტიკა

როდესაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას ცუნამი დაატყდა, პოლიტიკა არსად წასულა. აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსა და ინდონეზიის არქიპელაგს შორის ოკეანის სივრცე ხომ ძალზედ მნიშვნელოვანი, მდიდარი და სასურველია. ზღვა - მათი ბედნიერებაა: თევზი, ვაჭრობა, ნავთობი, გაზი, სტრატეგიული ნედლეული. ზღვა უბედურებაცაა, რადგან ცუნამიც ზღვიდან მოვიდა. ახლა ის ძალაუფლებისა და გავლენის რუკას ცვლის არა მარტო რეგიონში, აგრეთვე გაცილებით შორს, მის ფარგლებს გარეთ.

ნგრევის მასშტაბებით შეძრულმა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა იმედი გამოთქვა, რომ დახმარება, რომელსაც აშშ უწევს სტიქიით დაზარალებულ რეგიონს, მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს აშშ-ს იმიჯს მსოფლიოში. სხვები, განსაკუთრებით გერმანიის ხელისუფლება, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილის მოპოვებას ცდილობს, ამ საქმეს ანალოგიურად უყურებს. განა პირველი, რაც აზრად მოდის, - ევროკავშირის ქველმოქმედების საშუალებით ქვეყნის, როგორც მსხვილი გლობალური მოთამაშის, იმიჯის გამყარება არ არის? ამის ნაცვლად, გერმანიის ხელისუფლებამ ცალკე მოქმედება და ვალად აღებულ ფულზე ფართო ჟესტების კეთება არჩია. თითქოს პეკინელ "წითელ მანდარინებს" არ ესმოდეთ, თუ რა ახალი თამაში იმართება მათი ზეგავლენის ზონის მახლობლად. ფულის უქონლობის გამო ჩინელებს ამ თამაშში მხოლოდ მოკრძალებული მონაწილეობა შეუძლიათ. თუმცა, სახის დაკარგვას ჩინელები მათთვის ხელსაყრელ მომენტში აღიდგენენ, რადგან მათ სხვაგვარი ვალუტა გააჩნიათ. ჩინელები ამას გამოიყენებენ, თუ ვინმე დაეჭვდება იმის თაობაზე, თუ ვის ეკუთვნის სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და მოსაზღვრე საზღვაო რაიონებში უკანასკნელი სიტყვა.

გულმოწყალების გეოპოლიტიკაც პოლიტიკის ნაირსახეობაა. იაპონიასთან და ავსტრალიასთან აშშ-ს ცალმხრივმა ქმედებამ მაშინვე კვლავ გაამწვავა ევროპელებთან კონფლიქტი, პარიზის ხელმძღვანელობით. გაერომ უნდა მიაგნოს და განახორციელოს კომპრომისი. ასე რომ, სუმატრასთან მომხდარმა მიწისძვრამ უკვე განმეორებითი ბიძგი მისცა აზიაში ჰეგემონიისა და პარიტეტისთვის ბრძოლას.

ასი წლის წინ, როდესაც ამერიკელებმა ევროპული მსოფლიო და საზღვაო ძლიერ სახელმწიფოთა ძველი გეოპოლიტიკა აღმოაჩინეს, წყალში სამხედრო ფლოტი გაუშვეს და მადის გასაღვიძებლად ესპანელებს ფილიპინები წაართვეს, ადმირალი მაჰენის წიგნი "საზღვაო სიძლიერის ისტორიაზე გავლენა" ამერიკელებს ძალაუფლებისა და ზღვაზე ჰეგემონიის დამოკიდებულებას ასწავლიდა. ეს იყო ერთგვარი წესები, რომელზეც XIV საუკუნეში ნებაყოფლობით უარი თქვეს ჩინელებმა, ექსპანსიას რომ არ დაენგრია მათი კულტურა და წესები, რომელთა ათვისებაც XIX საუკუნეში დაიწყეს იაპონელებმა და რუსებმა, აგრეთვე გერმანელებმა. ვინც ინდოეთის ოკეანეს ფლობს - ასწავლიდა მაჰენი ამერიკული ფლოტის მეთაურთა რამდენიმე თაობას - სწორედ მას აქვს შვიდი ზღვის გასაღებიც.

დღესაც არაფერი შეცვლილა - ამას ხელს უწყობს გაეროს ახალი საზღვაო სამართალი, წყალქვეშა ტექნიკა და მზარდი მოთხოვნილება ნავთობზე აზიაში. ჩინეთს კვლავ სურს "შუა იმპერიობა", როგორც ეს ათასწლეულების მანძილზე იყო. ამერიკა კი სუპერსახელმწიფოა. ამერიკული და ჩინური ინტერესები, ზოგჯერ მათი სამხედრო ხომალდებიც, ერთმანეთს წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში ეჯახებიან. აქვეა არანაკლებ ძლიერი მოთამაშენიც - ინდოეთი და იაპონია. 500 მილიონი დოლარი, რომელსაც ტოკიო თვალის დახამხამებაში შეპირდა სტიქიით დაზარალებულ რეგიონს, - ეს მხოლოდ მოყვარეს ან ახლობლის სიყვარული არ არის. იაპონია მოკავშირეებს ეძებს, როგორც გაეროში, აგრეთვე ახლო მეზობლებშიც და უნდა, რომ შთამომავლობამ მეორე მსოფლიო ომი დაივიწყოს. იაპონელებსაც უნდათ, რომ ისინი (იაპონელები) უყვარდეთ. მანამდე საუბარი მიდიოდა ენერგომიწოდებასა და სამომხმარებლო ბაზარზე, აგრეთვე ძალაუფლებაზე, რომელსაც ბირთვული იარაღისა და დიდი სიშორის რაკეტების ფლობა ან - იაპონიის შემთხვევაში - აშშ-სთან კავშირი იძლევა. შემდეგაც იგივე სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებზე ილაპარაკებენ. ამ საუბრებს შორის კი, ევროკავშირის კონფერენციაზე და ჯაკარტის კონფერენციაზე ზეგავლენის შეძენაზე საუბრობდნენ. საუბარია დაღუპულ ან დაკარგულ ადამიანებზე, დანგრეულ სოფლებზე, სულიერ ტრავმებზე. დაბოლოს, საუბარია იმაზე, რომ ტელევიზიით უჩვენონ მსოფლიოს, რომელი ქვეყანა ჩავიდა ტრაგედიის ადგილზე შვეულმფრენებით, ხომალდებითა და ტექნიკით და რომელი - არა.

ამერიკა დაზარალებულ რეგიონს მასშტაბურად ეხმარება, გინდ დოლარებით და გინდ საზღვაო ფეხოსნებით. არადა, პროპორციულად თუ დავთვლით, ნორვეგიამ ევროკავშირის ჩარჩოებს გარეთ ყველაზე მეტი გაიღო. ევროპელებს, პარიზის მეთაურობით, ჩამორჩენა არ სურთ. გასაოცარია, რამდენად ძუნწად ექცევიან თავიანთ რელიგიურ მოძმეებს არაბული სახელმწიფოები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ლამის დაიხრჩონ ამ ნავთობდოლარებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ძალაუფლებისა და გავლენის რუკა ხელახლა იქმნება, სადაც ამერიკა დიდად არის დატანილი, ჩინეთი - სადღაც კიდეზე. თუმცა, "შუა იმპერია" მალე შეახსენებს ყველას, რომ აზიაში ჩინეთის ნების წინააღმდეგ ნაკლებად თუ მიაღწევენ რამეს.

ველტი

საფრანგეთი ბირთვული შეიარაღების მოდერნიზაციას შეუდგა

სააგენტო "იტარ-ტასის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საფრანგეთი ბირთვული შეიარაღების მოდერნიზაციას შეუდგა. ამ მიზნით, ქვეყანამ თავისი 4 ბირთვული წყალქვეშა ნავის ახალი "M-51" ტიპის რაკეტებით აღჭურვა დაიწყო. "წყალი-მიწა" კლასის თანამედროვე რაკეტებით წყალქვეშა ხომალდების აღჭურვა, რომლის რადიუსი 6 000 კილომეტრს აღწევს, 2010 წლისთვის უნდა დასრულდეს, ხოლო უკვე 2015 წლისთვის მათზე ახალი ბირთვული ქობინების დამონტაჟება მოხდება.

თავდაცვის სამინისტროს შეკვეთა, რომელიც დაახლოებით 50 რაკეტას ითვალისწინებს, 8 მლრდ ევროს ღირებულებისაა. თავდაცვის მინისტრის, მიშელ ალიო-მარის განცხადებით, "ფრანგული წყალქვეშა ფლოტის მოდერნიზაცია ახალი გამოწვევებისათვის წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობით არის ნაკარნახევი". ამ ნაბიჯით საფრანგეთი უარს ამბობს აშშ-ს მაგალითის მიბაძვაზე, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმისა და ე.წ. "ბოროტების ღერძი" სახელმწიფოების წინააღმდეგ ბირთვული "მინი-ბომბების" გამოყენებას აპირებს.

გავლენიანი ფრანგული გაზეთის, "ფიგარო"-ს თანახმად, ზოგიერთი ფრანგი ექსპერტი მიიჩნევს, რომ "ამერიკული პროექტი არ შეესაბამება გამოყენების დოქტრინას, მათ შორის პრევენტიული ბირთვული იარაღის იმ ქვეყნების წინააღმდეგ გამოყენების შესახებ, რომლებიც ანალოგიურ იარაღს არ ფლობენ".

ამავდროულად, როგორც საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ადრევე აღნიშნავდა, "ბირთვული იარაღის დანიშნულება მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ არაა გათვლილი სამხედრო ქმედებებზე. სწორედ ამიტომ, საფრანგეთმა უარი განაცხადა მინიმალიზებული ბირთვული იარაღის გამოყენებაზე".

გარდა ამისა, ფრანგი ექსპერტები თანხმდებიან ერთ რამეშიც, რომ ახალი გამოწვევების ეფექტურად შეკავებისათვის აუცილებელია პოტენციური დარტყმის სიმძლავრის შემცირება. ამოცანის მთელი სირთულე მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ბირთვულმა იარაღმა გამოყენების გარეშეც შეძლოს თავისი სახიფათო ეფექტის შენარჩუნება. როგორ გაართმევენ თავს ამ ამოცანას ფრანგი სამხედროები, "ფიგარო"-ს თქმით, უკვე "სამხედრო საიდუმლოებაა".

მოლდოვა საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებას იწყებს

მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნები მიმდინარე წლის 6 მარტს გაიმართება. არჩევნებამდე ქვეყანაში არსებული ვითარების გასაცნობად კი ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი სამდღიანი ვიზიტით მოლდოვას 15 იანვარს ეწვია.

საპარლამენტო არჩევნებში საერთაშორისო დამკვირვებლები თვითონ მოლდოვის პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა მიიწვია. ეუთო-ს გენერალური მდივნის იან კუბიშისადმი, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანასა და ევროსაბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილებში ვლადიმირ ვორონინმა იმედი გამოთქვა, რომ მის ქვეყანაში "სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა მოლდოვის ევროპულ პერსპექტივაზე დადებით გავლენას" იქონიებს.

როგორც გასული წლის ბოლოს მოლდოვაში ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ აჩვენა, არჩევნების უდავო ფავორიტად მმართველი კომუნისტური პარტია იქცევა. აღნიშნულ პარტიას გამოკითხულთა 40 პროცენტზე მეტი უჭერდა მხარს. თუ გამოკითხვის შედეგები გამართლდა, კომუნისტური პარტია, იმ პარტიათა ხარჯზე, რომლებიც ვერ შეძლებენ საარჩევნო ბარიერის დაძლევას, უმრავლესობით გავა ახალ პარლამენტში და მართვის სადავეებს კიდევ 4 წელი არ გაუშვებს ხელიდან. ასეთი პერსპექტივა, ცხადია, ხელს არ აძლევს უმსხვილეს ოპოზიციურ ბლოკს "დემოკრატიულ მოლდოვას", რომლის რეიტინგი სხვადასხვა გამოკითხვის მიხედვით 10-დან 15 პროცენტამდე მერყეობს და პრორუმინულ ქრისტიანულ-დემოკრატიულ სახალხო პარტიას, რომელსაც, თავის მხრივ, გამოკითხულთა 8 პროცენტი უჭერს მხარს. არჩევნებამდე კი ოპოზიციური პარტიების ლიდერებს მხოლოდ ის აიმედებთ, რომ ამომრჩეველთა დაახლოებით იმ ერთი მესამედის გადაბირებას შეძლებენ, რომლებიც გამოკითხვის თანახმად, ჯერჯერობით თავს იკავებენ თავიანთი პოზიციის აშკარად დაფიქსირებისაგან.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ვადა გასდიოდა საბჭოთა ტიპის პასპორტებს, თუმცა ხელისუფლებამ ვარგისიანობის ვადა კიდევ 6 თვით გააგრძელა, რაც სწორედ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება. მოლდოვის პრემიერ-მინისტრის ვასილ ტარლევის განცხადებით, ძველი პასპორტების ვადის გაგრძელება ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თხოვნით მოხდა, რათა არ იქნეს დარღვეული იმ მოქალაქეების უფლებები, რომლებმაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობების აღება ვერ მოასწრეს. ეს ძირითადად ეხება პენსიონერებს. მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2004 წლის ბოლომდე პასპორტის შეცვლა მოსახლეობის დაახლოებით 18 პროცენტმა ვერ მოასწრო.

ძველი პასპორტების მოქმედების ვადის გაგრძელება კი ასე თუ ისე გამორიცხავს არჩევნების ჩაგდებას საარჩევნო უბნებზე ელექტორატის დაბალი აქტივობის მიზეზით.

პირველი ბოსნიელი სერბი ჰააგის ტრიბუნალის წინაშე

ბოსნიელი სერბების ხელისუფლებამ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს პირველად გადასცა ბოსნიელი სერბი, რომელიც სამხედრო დანაშაულშია ეჭვმიტანილი. ადგილობრივი პოლიცია იუწყება, რომ ეჭვმიტანილი სადო ტოდოვიჩი ნებაყოფლობით ჩაბარდა ხელისუფლებას და დაუყოვნებლივ გადაგზავნილ იქნა ჰააგაში, სადაც ის ტრიბუნალის წარმომადგენლებს გადასცეს. 52 წლის სადო ტოდოვიჩი ფოკას ტყვეთა ბანაკის მეთაურის მოადგილე იყო. 1992-95 წლებში ბოსნიაში ომის დროს, ფოკას ბანაკში ბოსნიელი მაჰმადიანები და ხორვატები ჰყავდათ დაპატიმრებული. ტოდოვიჩს 1997 წელს წაუყენეს ბრალდება რამდენიმე მუხლით, კერძოდ, პატიმრების წამებისა და მკვლელობის მუხლი. ვარაუდობენ, რომ ტოდოვიჩი პატიმრებს არჩევდა, ცემის, დაკითხვების, წამებისა და სიკვდილით დასჯის მიზნით. ბოსნიელი სერბების ხელისუფლებას მანამდე ბევრჯერ აკრიტიკებდნენ იმისათვის, რომ ისინი ჰააგის ტრიბუნალთან არ თანამშრომლობდნენ. ტრიბუნალის წარმომადგენლები დღესაც ფიქრობენ, რომ მათ მიერ ძებნაში გამოცხადებული ბოსნიელი სერბების ყოფილი ლიდერები რატკო მლადიჩი და რადოვან კარაჯიჩი კვლავინდებურად ბოსნიის სერბეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

"ეტამ" ესპანეთის ხელისუფლებას მოლაპარაკება შესთავაზა

ბასკურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ "ეტამ" ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას "პოლიტიკური დიალოგის დაწყება" შესთავაზა, რომელიც ქვეყანაში ტერაქტების შეწყვეტას შეუწყობდა ხელს. "ეტას" ეს წინადადება ბასკურმა გაზეთმა "ბერრიამ" გამოაქვეყნა. წერილში ნათქვამია, რომ "ეტას" დაჯგუფებამ ესპანეთის ხელისუფლებას შესთავაზა "დღეიდან, სადავო საკითხების მხოლოდ დემოკრატიული და პოლიტიკური გზებით გადაჭრა". "შეიარაღებული ბრძოლის" შეწყვეტასთან დაკავშირებით მოლაპარაკების დაწყება "ეტას" ტერორისტებმა ამ ორგანიზაციის 40 წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად შესთავაზეს ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. ამასთანავე, ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს განაცხადა, რომ "ეტასთან" მოლაპარაკებები მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როდესაც ის უპირობოდ ჩააბარებს იარაღს და უარს იტყვის ძალადობაზე.

ევროკომისია: უკრაინა ევროკავშირისთვის მზად არ არის

როგორც "ფრანს პრესი" იუწყება, ევროკომისიის წარმომადგენელმა ფრანსუაზა ლე ბაიმ განაცხადა, რომ უკრაინისთვის ჯერ ადრეა ევროკავშირში გაწევრიანებაზე ფიქრი. ევროკომისიის წევრები თვლიან, რომ დღეისათვის საჭიროა უკრაინა-ევროკავშირის თანამშრომლობის გეგმის შესრულების განხორციელება, რომელიც ამჟამად უკრაინას მიმართ მხოლოდ ევროპის ახალი სამეზობლო ინიციატივას და შიდა ევროპულ ბაზარზე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მონაწილეობისათვის მზადებას ითვალისწინებს.

"ევროკავშირში გაწევრიანება ძალზე რთული პროცესია, რომელიც უკრაინის მხრიდან უზარმაზარ ძალისხმევას საჭიროებს. სწორედ ამიტომ, ჯერჯერობით, მხოლოდ უკრაინა-ევროკავშირის თანამშრომლობის გეგმის შესრულებაზე შეიძლება საუბარი. ეს გეგმა და უკრაინასთან მეზობლობის პოლიტიკა თავის თავში უკვე უზარმაზარ პოტენციალს მოიცავს," - განაცხადა ფრანსუაზა ლე ბაიმ.

რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტმა კენჭი უყარა უკრაინა-ევროკავშირის თანამშრომლობის გეგმის გადახედვას და ევროსაბჭოს მოუწოდა, კიევისათვის ევროინტეგრაციის მკაფიო პერსპექტივები წარმოედგინა. აგრეთვე, ევროპარლამენტარებმა ევროკომისიას უკრაინის ეკონომიკის "საბაზროდ" აღიარებისკენ მოუწოდა. თუმცა ამისათვის უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი შესწორება გახდება საჭირო. ევროპარლამენტმა ხმა მისცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უკრაინის წევრობას და ევროსაბჭოსა და ევროკომისიას უკრაინელი მოქალაქეებისთვის ევროკავშირის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება ურჩია.

24 საათი

ლიკანში განხილული თბილისის ბიუჯეტი

ოთხდღიანი მუშაობის შემდეგ თბილისის საკრებულოსა და ქალაქის მთავრობის წევრები საკურორტო დაბა ლიკანიდან გუშინ დაბრუნდნენ. გასვლით სხდომაზე მათ 2005 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტი განიხილეს. მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯები 416 მილიონ 590 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც, შარშანდელთან შედარებით, 103 მილიონი ლარით მეტია. ქალაქის მთავრობამ პრიორიტეტად მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა და გზების საფარის აღდგენა გამოაცხადა. ქალაქის ბიუჯეტს საკრებულო 21 იანვარის სხდომაზე დაამტკიცებს. განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ ფრაქცია "ლეიბორისტების" წარმომადგენლებს.

თბილისის საკრებულოს სხდომა ლიკანში.

თამარ დვალი

საკრებულოს გასვლით სხდომას, სადაც 2005 წლის ბიუჯეტის განხილვა უნდა მომხდარიყო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და "ლეიბორისტების" უკმაყოფილება მოჰყვა. "შრომის" პარტიის წევრებმა უარი განაცხადეს ლიკანში გამგზავრებაზე და მათთვის განკუთვნილი თანხების სოციალურად დაუცველი ფენისთვის გადარიცხვა მოითხოვეს. მესამე სექტორის წარმომადგენლები საკრებულოს წევრებს ბიუჯეტის ფარულად განხილვაში ადანაშაულებდნენ. საკრებულოს წევრები და ქალაქის მთავრობის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ქალაქგარეთ მათი გასვლა დატვირთულ სამუშაო რეჟიმში ბიუჯეტის განხილვას ისახავდა მიზნად.

ლიკანს ერთი დღით ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც ესტუმრა. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის წარმომადგენლებმა პირველივე დღეს მათი ხელფასების მომატების საკითხი განიხილეს. მერიის სამსახურში მინიმალური ხელფასი 300 ლარით განისაზღვრა, რასაც, სავარაუდოდ, საშტატო ერთეულის 30-პროცენტიანი შემცირებაც მოჰყვება. ხელფასი გაეზრდებათ საკრებულოს იმ დეპუტატებსაც, რომლებიც ფრაქციებისა და კომისიის თავმჯდომარეები არიან. დანამატის გარდა, ისინი 300 ლარს მიიღებენ. პრემიერის 160-ლარიანი ხელფასი 2 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო მერის 170-ლარიანი ხელფასი 2 200 ლარამდე ავიდა. ქალაქის მერის განცხადებით, მერიის სტრუქტურაში მუშაობის მსურველებს კონკურსის გავლა მოუწევთ. ჭიაბერაშვილი მერიაში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მოზიდვას აპირებს.

ქალაქის ხელმძღვანელობა წელს მერიის ავტოპარკის განახლებასაც გეგმავს. ჭიაბერაშვილის აზრით, ქალაქის მმართველ ორგანოებში მომუშავე ყველა თანამდებობის პირს ერთნაირი მარკის ავტომობილი უნდა ემსახურებოდეს. ქალაქის მთავრობა მიიჩნევს, რომ მოძველებულ ავტოპარკზე გაცილებით მეტი თანხები იხარჯება, ვიდრე ეს ახალი მანქანების შეძენას დასჭირდება. უპირატესობა "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომობილებს მიენიჭათ.

მერიის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებმა სხდომაზე თავიანთი პროგრამები წარმოადგინეს. ყველაზე მეტი კრიტიკა განათლებისა და კულტურის პროგრამის განხილვას მოჰყვა. საკრებულოს წევრმა გია მურღულიამ ამ პროგრამის ზოგიერთ პუნქტს პროვინციული უწოდა. შემოგთავაზებთ რამდენიმე ქვეპროგრამას, რომელიც 2005 წლის ბიუჯეტის პროგრამაშია გაწერილი; "საშემსრულებლო ხელოვნების პოპულარიზაციის პროგრამა" - 80 ათასი ლარი; "ვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა" - 50 ათასი ლარი; საახალწლო ღონისძიებებისთვის მომავალ წელს, დაახლოებით, 122 ათასი ლარი დაიხარჯება, 23 ნოემბრის დღესასწაულს კი 70 ათასი ლარი მოხმარდება.

არქიტექტურის საქალაქო სამსახურისთვის თავიდან სამმილიონნახევარი ლარი იყო გათვალისწინებული, საბოლოო ვარიანტში კი მილიონნახევარი ლარია ჩადებული, რასაც, სავარაუდოდ, 300-400 ათასი ლარი კიდევ დაემატება. როგორც არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბექა ქარსიძემ განაცხადა, წლის ბოლოს დედაქალაქს ე.წ გენგეგმა ექნება.

"გენგეგმა არის კომუნისტების პერიოდში დამკვიდრებული სიტყვა, თუმცა რასაც ეს სიტყვა გულისხმობს, ის პარამეტრები წლის ბოლოს აუცილებლად გვექნება. მენაშენეებს ექნებათ სრულყოფილი სურათი, თუ რა არის ქალაქის მოთხოვნა და იმ მოთხოვნებთან შესაბამისობაში შეეძლებათ მშენებლობის დაწყება. მოწესრიგდება გზების, ტრანსპორტის საკითხი, შემუშავდება რუკები, სქემები და ა.შ.", – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ბექა ქარსიძემ.

ყველაზე დიდი დაფინანსება წელს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ერგო. მისთვის წლევანდელ ბიუჯეტში 92 მილიონი ლარია გათვალისწინებული, საიდანაც 80 მილიონი ლარი გზების საფარის აღდგენას მოხმარდება; გაკეთდება სანიაღვრე სისტემა; მიწისქვეშა გადასასვლელების მოსაწესრიგებლად ნახევარი მილიონი ლარია გამოყოფილი.

"ვფიქრობთ, რომ ეს არ არის საკმარისი თანხა, თუმცა, წინა წლებთან შედარებით, დიდი ზრდაა. შარშანდელი დაფინანსება 37 მილიონი ლარი იყო. რაც შეეხება იმის წინა პერიოდს, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მხოლოდ სამნახევარი მილიონი ლარი იყო გამოყოფილი", – განაცხადა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ტარიელ ხიზანეიშვილმა.

ოპოზიციური ფრაქციის "ახლების" თავმჯდომარე გიორგი მოსიძე 2005 წლის ბიუჯეტის პროექტს, წინა წლებთან შედარებით, პროფესიონალურად შედგენილს უწოდებს.

"თბილისმა და თბილისელებმა ერთი წელი დაკარგეს მერისა და პრემიერის კინკლაობის გამო. დღეს გაჩნდა იმედი, რომ შეიძლება საქმე რეალურად გაკეთდეს. ბიუჯეტის პროგრამის მოსმენისას, ქალაქის პრემიერსა და მთავრობის წევრებს აქვთ პასუხი იმ კითხვებზე, რომელსაც ჩვენ ვსვამთ. ვიცით, რომ იდეალური ბიუჯეტი არ არსებობს. თუმცა, გვაქვს გამოკვეთილი შენიშვნებიც. თბილისის მთავრობა აცხადებს, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა პროგრამისთვის 27 მილიონი ლარია გამოყოფილი, რეალურად კი ეს ციფრი სიმართლეს არ შეესაბამება. ამ თანხას დღესვე აკლია ოთხი მილიონი ლარი. თავდაპირველად იმ პროგრამაში, რაც დაარიგა პრემიერმა, გაწერილი იყო 27 მილიონი, მაგრამ პროექტში აღმოჩნდა, რომ ეს თანხა სამი-ოთხი მილიონით ნაკლებია. ეს თანხები სხვადასხვა სამსახურში გადაანაწილეს, რისი გაკონტროლებაც გაცილებით ძნელია. ამას აჯობებდა, მიწისძვრით დაზარალებულთათვის ერთი პროგრამა ყოფილიყო", – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ფრაქცია "ახლების" თავმჯდომარემ გიორგი მოსიძემ. მისივე თქმით, თუკი ხელისუფლებას ექნება კეთილი ნება, მაშინ ახალი ბიუჯეტით ქალაქში გარკვეული შედეგების მიღწევა შესაძლებელი იქნება. "ახლები" ბიუჯეტის 21 იანვარს დამტკიცებას ნაჩქარევად მიიჩნევენ და ეწინააღმდეგებიან.

ბიუჯეტის პროექტს მერიის საქალაქო სამსახურის უფროსები და საკრებულოს კომისიის წარმომადგენლები 21 იანვრამდე მთელი კვირის განმავლობაში განიხილავენ.

"ლიკანში მოვისმინეთ საქალაქო სამსახურების პროგრამები. ახლა განსახილველი დაგვრჩა "თბილგაზისა" და "თბილწყალკანალის" საკითხები. შემდეგ კომისიები წარმოადგენენ თავიანთ დასკვნებს, რაც ჩვენს სამსახურში მოიყრის თავს. ის რეკომენდაციები, რაც გვქონდა მთავრობასთან, უნდა აისახოს ბიუჯეტის პროექტში. 20 იანვარს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს თავის დასკვნას, რის შემდეგაც მოხდება ბიუჯეტის დასამტკიცებლად გატანა", – აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა. მისივე თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ წლის ბიუჯეტში ჩაიდო, არის გარემოს დაცვითი ღონისძიებები. თუკი ვინმეს 2005 წლის ქალაქის ბიუჯეტის პროგრამის ნახვა სურს, მივუთითებთ მისამართს – www.rda.ge

ქალაქის პრემიერის თემურ ქურხულის თქმით, ამ კვირაში არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაეცნონ ბიუჯეტის პროგრამას. რაც შეეხება პრიორიტეტებს, ასეთებად ქალაქის მთავრობამ მიწისძვით დაზარალებულთა პრობლემა და გზების საფარის აღდგენა დაასახელა.

"გზების საფარის აღდგენისათვის წელს 80 მილიონი ლარია გამოყოფილი, რასაც კუვეიტის ფონდიდან 15 მილიონი და მსოფლიო ბანკიდან 115 მილიონი ლარი დაემატება. უმწვავესია მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემაც, რომლისთვისაც წლევანდელ ბიუჯეტში 27 მილიონი ლარია გაწერილი. მართალია, შარშან ჩვენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული თანხა ჩავდეთ, მაგრამ ვერ ვუპატრონეთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ბიუჯეტი წლის მეორე ნახევარში მივიღეთ. წელს იმას ვაკეთებთ, რაც 15 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა. ოთხი საუწყებო სახლის დასრულებისთვის ორნახევარი მილიონი ლარია ჩადებული. მშენებლობის დასრულების შემდეგ იქ უბინაოებს შევასახლებთ. "თბილტრანსის" მძღოლებისთვის წლევანდელ ბიუჯეტში 1 მილიონ 250 ათასი ლარია გათვალისწინებული. სახელმწიფოს მათ მიმართ დავალიანება 8 მილიონ 400 ათასი ლარი აქვს. ამჟამად სახელმწიფოს მეტის გაკეთება არ შეუძლია", – აღნიშნა ქალაქის პრემიერმა თემურ ქურხულმა. მისივე თქმით, წელს ინვესტორებთან ერთად თბილისში მუნიციპალური ბინათმშენებლობა დაიწყება. ქურხულის განმარტებით, მერია მშენებლებს ე.წ "წილებს" მოსთხოვს. მაგალითად, ყოველი აშენებული 100 ბინიდან მერია 20 ბინას წაიღებს. თუკი მერიისთვის აშენებული ბინის გაყიდვა უფრო მომგებიანი აღმოჩნდება, მაშინ დამოუკიდებლად ააშენებენ სახლებს. ასეთი მეთოდით, მერია მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნასაც გეგმავს, რომელიც მისი შემოსავლის წყარო გახდება. მერია გაცემული ტერიტორიიდან 20 პროცენტს მოითხოვს.

ქალაქის პრემიერი ჯანდაცვის სფეროში სამი დიდი პროგრამის დაფინანსებით ამაყობს. ეს არის კარდიოქირურგიის პროგრამა, რომლისთვისაც ხუთი მილიონი ლარია გათვალისწინებული, მეორეა დიალიზის პროგრამა და მესამე - უმწეოთა დახმარების პროგრამა.

ბიუჯეტის პროგრამის განხილვის შემდეგ ქურხულს შენიშვნები აქვს ჯანდაცვისა და კულტურის სფეროების მიმართ, თუმცა ცვლილებების შეტანა ამ კვირაშივე მოხერხდება. ქალაქის პრემიერი აცხადებს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობას აქედანვე შეუდგება.

"მომავალი წლისთვის მინდა, მუშაობა განსხვავებულად დავიწყოთ. საკრებულომ, პირველ რიგში, უნდა მიიღოს ქალაქის სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროგრამა. უნდა დაიდოს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ვიხელმძღვანელებთ და გვეცოდინება, რა გზით უნდა განვავითაროთ ეკონომიკა. შემდეგ ამ დოკუმენტს უნდა მიებას ყველა სამსახური. მაგალითად, ჩვენ დღეს არ ვიცით, რა პოლიტიკას ატარებს ჯანდაცვის სამინისტრო. მომავალ წელს მე უნდა ვიცოდე, რა ვალდებულებები ექნებათ სამინისტროსა და საქალაქო სამსახურს.

გასარკვევია სკოლების დაფინანსების საკითხი. იგივე ითქმის თეატრებზე, მუსიკალურ და სპორტულ სკოლებზე. ძალიან ბევრი რამ არის ძირეულად შესაცვლელი; შევიმუშავებ რეგლამენტს, რომლის გარეშეც, ბიუჯეტს ველარ მივიღებ. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა შემოიღო პროგრამული დაფინანსების ახალი მეთოდი. ახლა ბიუჯეტი გახდა გამჭვირვალე და თუკი სამსახურებს კარგად დაკონკრეტებული პროგრამები არ ექნებათ, აღარ დავაფინანსებთ", – აღნიშნა ქურხულმა.

რამდენიმეწლიანი ინტერვალის შემდეგ დედაქალაქში სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი მეეზოვეებიც გამოჩნდებიან. 15 წლის დაგროვებულ ნაგავს 1500 მეეზოვე გაუმკლავდება. ამ პროგრამის დასაფინანსებლად 1,5 მილიონი ლარი ჩაიდო.

P.S თბილისის საკრებულოსა და ქალაქის მთავრობის "ლიკანური ვოიაჟი" გუშინ დასრულდა. მასში "ლეიბორისტებს" მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა პრესის საშუალებით გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს საკრებულოს წევრებს რომანოვების სასახლეში მეძავები ჰყავდათ წაყვანილი. ამ განცხადების გახმაურების შემდეგ დეპუტატების დიდ ნაწილს ლიკანში მეუღლეებმა ჩააკითხეს, მაგრამ მეძავები ვერ აღმოაჩინეს.

ამერიკის საელჩო თბილისში აწყობს ტენდერს აშშ საელჩოს დიპლომატიური მისიის თანამშრომლებისათვის ქართული და რუსული ენის სწავლებაზე. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა იმ კომპანიას ვისაც აქვს საქართველოში მუშაობის უფლება და შესაბამისი გამოცდილება.

სატენდერო მასალების გაცემა დაიწყება ამა წლის 24 იანვრიდან შემდეგ მისამართზე: სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული, USAID/აშშ საელჩოს მისაღები. გთხოვთ იქვე დატოვოთ, მომარაგების განყოფილების სახელზე, თქვენი კომპანიის სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 98 99 67 ext. 4233

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ იორკი) აცხადებენ

უნივერსიტეტის მასწავლებელთა კონკურსს

http://www.soros.org/initiatives/scholarship/focus-areas/facult-scholarships

ამ კონკურსში გამარჯვებულები გაატარებენ სამი წლის განმავლობაში ერთ სემესტრს ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში და ერთ სემესტრს საკუთარ ქვეყანაში (ყოველწლიურად). ამ პერიოდის განმავლობაში საშუალება მიეცემათ გაეცნონ თანამედროვე მიდგომებს შესაბამის სპეციალობებში და განავითარონ რეგიონალური და საერთაშორისო ინსტიტუციონალური პარტნიორობა

განმცხადებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. ამჟამად უნდა ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს საქართველოს რომელიმე რეგისტრირებულ უნივერსიტეტში:

ხელოვნების ისტორია, კულტურული ანთროპოლოგია, ისტორია, სამართალი, ფილოსოფია, პოლიტიკური მეცნიერებები, რელიგია, სოციოლოგია

2. უნდა ჰქონდეთ სანიმუშო აკადემიური მოსწრება (საბუთებს თან უნდა ახლდეს დიპლომის დანართი)

3. კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას

პროგრამა არ ითვალისწინებს გამარჯვებულთა ოჯახის წევრების დაფინანსებას

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 10 მარტი, 2005
დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ: ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", ჭოველიძის ქ, 10 ,
ტელ: 25 04 63, 25 05 92.

წამალი, რომელიც, შეიძლება, საშიში გახდეს

ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა პროკურორმა ელიოტ სპაიზერმა საქმე აღძრა კომპანია GlaxoSmithKline-ის წინააღმდეგ. მისი განცხადებით, ამ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა, ბავშვებისა და მოზარდების დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსაყვანად ანტიდეპრესანტების მოქმედების დადებითი შედეგების შესახებ, შეცდომაში შეიყვანა ექიმები, რადგან მათში არაფერი იყო ნათქვამი ამ მედიკამენტების უარყოფითი მხარის შესახებ. იგივეს ამბობენ ბრიტანულ გაზეთ British Medical Journal-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორებიც. ამ პრეპარატების ფართო გამოყენების წინააღმდეგ გამოსვლები გაპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ პრეპარატის გვერდითი ეფექტები მოზარდებს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს.

თამარ მაისურაძე

რა ვითარებაა ანტიდეპრესანტების გამოყენების თვალსაზრისით საქართველოში?

ორიოდე დღის წინათ ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. შვილებისა და შვილიშვილების პატრონს, ექიმმა ანტიდეპრესანტი დაუნიშნა. ერთწლიანი მკურნალობის განმავლობაში ქალბატონი არაფერს უჩიოდა; წამლის დალევა ერთი თვის წინათ შეწყვიტა, შემდეგ დაიწყო თვითმკვლელობაზე პერმანენტულად ლაპარაკი. ცოტა ხნის წინათ იგი საშინაო ტანსაცმელში ჩაცმული გარდაცვლილი იპოვეს სახლიდან მოშორებით, წყლის არხში.

ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ ამ ტრაგიკული ამბის მიზეზი ანტიდეპრესანტი იყო, არ არსებობს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ანტიდეპრესანტების გამოყენებასთან დაკავშირებული მომენტები, როგორც წესი, ძნელად მოსაგვარებელია ბავშვებსა და მოზარდებში, რადგან მათ გამოჯანმრთელებას, მდგომარეობიდან გამოყვანას ხელს მათივე ასაკი უშლის. ბოლო დროს ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია ანტიდეპრესანტების, ძირითადად, სეროტონინის ე.წ. რეაპთეიქერების მავნებლობის შესახებ, განსაკუთრებით - ბავშვებში. გასულ წელს ბავშვთა და მოზარდთა დეპრესიის მკურნალობის მეთოდიც საგრძნობლად შეიცვალა. ახალი მეთოდის მიხედვით, ახლა მხოლოდ რამდენიმე ანტიდეპრესანტის გამოყენებაა დაშვებული.

ქართველი ექიმები ანტიდეპრესანტებთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის ობიექტურობას, გარკვეულწილად, ეჭვქვეშ აყენებენ. **"გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაძლებელია, არსებობდეს ინტერესების კონფლიქტი სპონსორსა და მკვლევარს შორის, რაც ართულებს ობიექტური სურათის წარმოჩენას,** - ამბობს ექიმი-ფსიქიატრი მარინე გეგელაშვილი, - **მაგრამ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ფარმაკოლოგიურ კომპანიებს შორის დიდი კონკურენციაა, ხოლო საკითხი ანტიდეპრესანტების მავნებლობა-არამავნებლობის შესახებ შეფასებულია მრავალ მილიონ დოლარად. ამდენად, ძნელია ცალკეული საიტებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ობიექტურობის დადასტურება, მით უმეტეს - როდესაც საკითხი ეხება ისეთ მძიმე ბრალდებას, როგორიცაა ანტიდეპრესანტების მიღების შედეგად ადამიანის თვითმკვლელობამდე მისვლა. ხომ შეიძლება, რომ პაციენტს მკურნალობა არასწორად უტარდებოდა"?!**

ბავშვთა დეპრესიული ფონი

სტატისტიკური მონაცემები ბავშვებსა და მოზარდებს შორის დეპრესიების გავრცელების შესახებ საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებს არ გააჩნიათ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამის მრავალი მიზეზი არსებობს, ერთ-ერთი უმთავრესი მსგავსი საკითხებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაა, რის გამოც მშობელი ცდილობს, ყველანაირად აარიდოს ბავშვი არათუ ფსიქიატრთან, ფსიქოლოგთან კონტაქტსაც მაშინაც კი, როცა ასეთი ჩარევა აუცილებელია.

ცნობილია, რომ ბავშვთა და მოზარდთა დეპრესიის აღმოცენებაში წვლილი შეიძლება შეიტანოს მრავალმა ფაქტორმა - როგორც გენეტიკურმა მიდრეკილებამ, ასევე, ეგზოგენურმა და შიდაპიროვნულმა ფაქტორებმა. განსაკუთრებით აქტუალურია მშობლებთან ურთიერთობების დარღვევა, რომელიც, შესაძლოა, ატარებდეს ფარულ და შეუნიღბავ ხასიათსაც.

როგორც ირკვევა, 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში დეპრესიის გამოვლენა გაცილებით რთულია, ვიდრე ზრდასრულებში. საქმე ისაა, რომ ხშირად ბავშვებსა და მოზადებში დეპრესია სხვადასხვა სიმპტომებითაა შენიღბული. ვითარებაში გარკვევა იმის მიხედვით შეიძლება, თუ განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება ბავშვი ან მოზარდი. დეპრესიული ფონი, შესაძლოა, გამოვლინდეს სოციალური აქტივობის დაქვეითებით, სკოლაში სიარულზე უარის თქმით, სომატური სიმპტომებით, უფრო ხშირად მუცლის ან თავის ტკივილით, ძილის დარღვევით, სხვადასხვა სახის ქცევის მოშლით.

ამიტომ, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვის ან მოზარდის სომატურ ან ქცევით პრობლემასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, სანამ მის საქციელს განვიხილავთ როგორც დანაშაულს, სპეციალისტის დახმარებით, კარგად უნდა გავერკვეთ მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. თითოეული ასეთი შემთხვევა მოითხოვს ღრმა შესწავლას და სერიოზულ ანალიზს, რაც ეფექტური მედიკამენტოზური და ფსიქოკორექციული ჩარევის განხორციელების საშუალებას იძლევა.

დეპრესია ყველას "სჭირს"

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემები საქართველოში დეპრესიების გავრცელებასთან დაკავშირებით არ არსებობს, ფაქტია, ანტიდეპრესანტებს, განსაკუთრებით კი სეროტონინის ე.წ. რეაპთეიქერებს, ჩვენში ინტენსიურად იყენებენ. ვითარებას ართულებს ანტიდეპრესანტების დანიშვნის აუცილებლობაც. ხშირად ხდება, როდესაც ცუდ გუნებაზე მყოფი პიროვნება თვითმკურნალობას მიმართავს, წამლის ანოტაციაში მოცემულ ინფორმაციას ეყრდნობა და სვამს ანტიდეპრესანტს. ხდება პირიქითაც – ადამიანი კატეგორიულ უარს აცხადებს მედიკამენტურ ჩარევაზე. ამ "განწყობას" ექიმები საზოგადოებაში მოარული აზრით ხსნიან: "დეპრესია დღეს ყველას "სჭირს", - ასეთია ამ საკითხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

"ანტიდეპრესანტის დანიშნვა და შერჩევა ძალზე ნატიფი, მეტად საპასუხისმგებლო საქმეა და ექიმის მაღალ კვალიფიკაციას, თეორიულ მომზადებას, კლინიკურ გამოცდილებას, ასევე, ინტუიციას და პაციენტის პრობლემაში ღრმა წვდომის უნარს მოითხოვს. სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები ხშირად იგნორირებულია და ანტიდეპრესანტების დანიშვნა ცუდი გუნება-განწყობილების გაქარწყლების საშუალებად გამოიყენება", – ამბობს მარინე გეგელაშვილი.

რაც შეეხება დეპრესიის მკურნალობის ალტერნატიულ გზებს, სპეციალისტებს საკითხის ასე დასმა არაკორექტულად მიაჩნიათ, რადგან, მათი აზრით, სწორად შერჩეული ანტიდეპრესანტი დეპრესიის დაძლევის საუკეთესო საშუალებაა.

ბალტიკის აორთქლება

ჩვეულებრივი ბიზნესკონკურენცია თუ პოლიტიკური მოტივით დევნა?

"ერთ-ერთმა ცნობილმა ლუდის მწარმოებელმა, წარმოშობით ცხინვალელმა ვალოევმა ედუარდ კოკოითს სერიოზული ფული მისცა, რათა რეგიონში რუსული ფიჭური კომპანიის, "მეგაფონის" ანტენები დაეყენებინა. ვალოევს საქართველოშიც ჰქონდა ბიზნესი - ლუდი "ბალტიკა", რომელიც ქართულ ბაზარზე იყიდებოდა, მისი გახლდათ, მაგრამ დღეს მისი ბიზნესი საქართველოში აღარ არსებობს," - განაცხადა რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

თამარ კაკიტაძე

ლუდი "ბალტიკა" ქართულ ბაზარზე აღარ იყიდება - როგორც თავის დროზე მაღალჩინოსანი სამართალდამცველები ირწმუნებოდნენ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, აღნიშნულ მოსაზრებას იგივე სამართალდამცველი სტრუქტურები დღეს კატეგორიულად უარყოფენ და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლუდის ქართული ბაზრიდან გაქრობას ტრადიციული კრიმინალით ანუ ბიუჯეტისთვის გადასახადების დამალვით ხსნიან.

ამასობაში კი ჭორებიც გავრცელდა. მაგალითად, ამბობენ, რომ "ბალტიკის" საქართველოში დისტრიბუცია ვილაცის, კერძოდ კი, ქართული ლუდის მწარმოებელი გავლენიანი პირების და თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელების საერთო ინტერესებს შეეწირა.

რუსული წარმოების ლუდი "ბალტიკა" საქართველოში ორიოდე წლის წინ გამოჩნდა. მის იმპორტირებას ორი ფირმა - "როიალ ექსპრესი" და "მეკმა" ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ ფირმა "მეკმამ" "ბალტიკის" დისტრბუცია მხოლოდ 2004 წლის დასაწყისში დაიწყო, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, რამდენიმე თვეში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია. ჩვენი ინფორმაციით, მაის-ივნისში, ანუ მაშინ, როცა ლუდის სეზონი ჯერ კიდევ დაწყებულად არ ითვლება, "მეკმას" დაახლოებით ნახევარი მილიონი ბოთლი "ბალტიკა" შემოჰქონდა, მაგრამ მოთხოვნილებას ბოლომდე მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ეს კი იმის მანიშნებელი გახლდათ, რომ სეზონზე რუსული ლუდისადმი მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რის გამოც, თავისთავად ცხადია, ადგილობრივი ლუდის წარმოება სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამას ემატებოდა გავრცელებული ინფორმაციაც, რომ "ბალტიკის" სათავო ოფისი მომავალი წლიდან საქართველოში 2 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებდა.

სწორედ ამ დროს ქართველმა სამართალდამცველებმა "ბალტიკას" და კოკოითს შორის კავშირი აღმოაჩინეს.

ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრში ფირმა "როიალ ექსპრესი" მოექცა, რომელსაც საქართველოში "ბალტიკა", "მეკმასთან" შედარებით, მცირე რაოდენობით შემოჰქონდა. ქვეყნის საზღვარზე შემოტანილი პროდუქცია პოლიციელებმა დააკავეს და ფირმის დირექტორს ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის - 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრეს. "როიალ ექსპრესის" წარმომადგენლებმა, იმ იმედით, რომ დაკავებულ ლუდს დაიბრუნებდნენ და სერიოზულ ზარალს გადარჩებოდნენ, დასახელებული თანხა მეორე დღესვე გადაიხადეს, მაგრამ მათთვის ლუდი აღარავის დაუბრუნებია.

მოგვიანებით უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ფირმა "მეკმა", რომელიც, "ბალტიკის" შემოტანის პარალელულად, საქართველოში "სტეფანე რაზინის", მინერალური წყლის "საირმის" და გერმანული წარმოების ხილის წვენების დისტრიბუციით იყო დაკავებული.

"მეკმას" საქმიანობა საგადასახადო სამსახურს უკვე შემოწმებული ჰქონდა და დარღვევებიც არ გამოუვლენია, როდესაც ფირმის საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე პოლიციელები გამოჩნდნენ. 2004 წლის 20 და 21 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა "მეკმასგან" 800 ბოთლი "სტეფანე რაზინის" საკონტროლო შესყიდვა მოახდინეს. ბოლო შესყიდვიდან ნახევარ საათში კი "მეკმას" საწყობში სამართალდამცველთა 80-კაციანი ჯგუფი შევიდა, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ფირმაში ჩხრეკა ჩაატარა და საბაჟოს წარმომადგენლებთან ერთად საწყობი დალუქა. როგორც გაირკვა, პოლიცია "მეკმას" გენერალურ დირექტორს მევლუდ ბაძგარაძეს ლუდის უაქციზო ვაჭრობაში სდებდა ბრალს და მოგვიანებით მასზე ძებნაც გამოაცხადა.

"დავიწყოთ იქიდან, რომ პოლიციის მიერ შესყიდული "სტეფანე რაზინი" აქციზიანი იყო. მიუხედავად ამისა, პოლიციელებმა, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, სისხლის სამართლის საქმე უაქციზო ვაჭრობის მუხლით აღძრეს. მეტიც, მათ ჩხრეკას არ დაასწრეს ფირმის ხელმძღვანელები. ისინი მანქანაში ჩასვეს, მერე ოქმზე ხელი მოაწერინეს და გვიან ღამით, შინაგან საქმეთა სამინისტროში წაიყვანეს," - აღნიშნა ჩვენთან საუბარში "მეკმას" გენერალური დიტექტორის ადვოკატმა ინგა არახამიამ.

ადვოკატის თქმით, შს სამინისტროში "მეკმას" წარმომადგენლებს მინისტრის მაშინდელი მოადგილე გია გეწაძე შეხვდა, რომელიმაც განაცხადა, რომ "ლუდს შინაგანი ჯარის ჯარისკაცები დალევდნენ".

"შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გეწაძემ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ფირმის წარმომადგენლებს პირდაპირ მოსთხოვა აღნიშნული ბიზნესის შეწყვეტა, იმ მოტივით, რომ "ბალტიკის" პრეზიდენტი ოსი ვალოევი იყო. ამგვარი მოთხოვნა აბსოლუტურად უკანონო და ანტიკონსტიტუციურია. არ შეიძლება, აღკვეთო ბიზნესი პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ეს თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეშლას ნიშნავს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია," - ამბობს ადვოკატი.

თავად "მეკმას" წარმომადგენლები კი პირად საუბაში აღნიშნავენ: **"სამართალდამცველებს შეეძლოთ პირდაპირ ეთქვათ, რომ "ბალტიკის" რეალიზაცია ქვეყნის ინტერესებში არ შედიოდა და ჩვენ შევწყვეტდით მის შემოტანას, მაგრამ როგორც საბოლოოდ გამოჩნდა, მათ სულ სხვა ინტერესი ამოძრავებდათ - ჩვენი ფირმის ჩაძირვა ჰქონდათ გამიზნული."**

"მეკმას" დალუქულ საწყობში დარჩა 168 ათასი ბოთლი ლუდი "ბალტიკა", 12 ათასი ბოთლი "სტეფანე რაზინი", 26 ბოთლი "საირმე" და გერმანული ხილის წვენები, სულ 220 ათასი ლარის ღირებულების მალფუჭებადი პროდუქტი. ფირმის ადვოკატის მტკიცებით, საბაჟო საწყობის დალუქვიდან რამდენიმე დღეში აღნიშნულ ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები კვლავ გამოჩნდნენ. მათ კანონის დარღვევით გატეხეს ლუქი და პროდუქტი გაიტანეს.

ცოტა ხანში კი "მეკმას" წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში ახალი დანაშაული გაჩნდა. გამოძიების მტკიცებით, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ "მეკმაში" არსებულ ყველა სასმელში - "ბალტიკაში", "სტეფანე რაზინში", "საირმეში" და გერმანულ წვენებშიც კი - ნაწლავური ჩხირები იყო.

"აღნიშნული ექსპერტიზა სრული აბსურდია. ამის დამტკიცება ალტერნატიული ექსპეტრიზით ძალიან ადვილად შეიძლებოდა, რისი ჩატარების უფლებაც ბრალდების მხარეს კანონით აქვს. მაგრამ გამოძიებამ ყველა სახის ექსპეტრიზაზე უარი განგვიცხადა. ბრალდების გასაბათილებლად ექსპერტების გამოგზავნის სურვილი "ბალტიკის" მხარემაც გამოთქვა, მაგრამ მათაც უარი შეუთვალეს," - გვითხრა ინგა არახამიამ.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ბოლო პერიოდში ძალიან ხშირია პროდუქტებზე მსგავსი უარყოფითი საექსპერტო დასკვნების გაცემა. მაგრალითად, ცოტა ხნის წინ საკვებად უვარგისის შეფასება მიეცა მაკარონ "სპაგეტს", რომელიც შემდეგ შინაგან ჯარში გადაიგზავნა.

ლუდი "სტეფანე რაზინის" აქციზური მარკების გარეშე არაერთგზის რეალიზაციისთვის ძებნილი მევლუდ ბაძგარაძე ოქტომბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში საკუთარი ნებით გამოცხადდა. ფირმის დამფუძნებლის დაპატიმრებიდან მეორე დღეს კი "მეკმას" კომერციულმა დირექტორმა გია აბესაძემ პრესკონფერენცია გამართა და იმ უკანონობაზე ისაუბრა, რაც მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ხდებოდა. პრესკონფერენციიდან მეორე დღესვე გია აბესაძეც დააპატიმრეს და მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით (10 375 ლარის) გადასახადისათვის თავის არიდების მუხლით წარუდგინეს.

"ისევე, როგორც ბაძგარაძის, გია აბესაძის დაპატიმრებაც სრული უკანონობაა. ჯერ ერთი, აბესაძე არ იყო პასუხისმგებელი პირი და მისი ხელმოწერა არც ერთ დოკუმენტზე არ არის დაფიქსირებული. მეორეც, საიდან მოიტანა გამოძიებამ დასახელებული თანხა, აბსოლუტურად გაუგებარია. როგორც ჩანს, აბესაძის დაპატიმრებაც სულ სხვა მიზანს ემსახურება," - ამბობს ადვოკატი.

მიუხედავად იმისა, რომ დავცის მხარის მტკიცებით, აბესაძის დასაპატიმრებლად გამოძიებას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდა, მისი გათავისუფლებისთვის 200 ათასი ლარის ბიუჯეტში გადახდა მოითხოვა (გირაოზე უარი თქვეს). აღნიშნული თანხა "მეკმას" არ გადაუხდია. აქედან გამომდინარე, ფირმის ორივე წარმომადგენელი დღემდე წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

"შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მოქმედება არის აბსოლუტური უკანონობა და იგი ყოველგვარ სამართლებრივ ნორმებს სცილდება. ყოველივე ამაში კი ხელი შინაგან საქმთა მინისტრის მოადგილის გია გეწაძის ხელი ურევია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მსგავსი დანაშაული ფინანსური პოლიციის ქვემდებარეა, მაგრამ გია გეწაძემ გენერალურ პროკურორს წერილობით მიმართა და სთხოვა, გამონაკლისის სახით "მეკმას" საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებოდა. რატომ, თუ პირადი ინტერესები არ გააჩნდათ?" - ასეთია ადვოკატის მოსაზრება.

შინაგან საქმთა მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე, ახლა უკვე იმერეთის გუბერნატორი გია გეწაძე "ბალტიკასთან" და, საერთოდ, ნებისმიერ ბიზნესთან პირად ინტერეს კატეგორიულად უარყოფს.

"პირადად მე, "ბალტიკის" არანაირი ინტერესი არ მქონია. ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ფირმა ლუდის უაქციზო რეალიზაციას ეწეოდა, შემოწმების შემდეგ ეს ინფორმაცია დადასტურდა კიდეც. მართალია, საბაჟო საწყობში აღმოჩნდა აქციზიანი პროდუქცია, მაგრამ იყო კონტრაბანდაც. ამიტომ, ამ შემთხვევაში საუბარი ვალოევის და კოკოითის გამო ფირმის წინააღმდეგ საქმის აღძვრაზე, ზედმეტია. ყოველ შემთხვევაში, მე საქმის კურსში არ ვარ," - ამბობს გეწაძე.

შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის გურამ დონაძის განცხადებით, ფირმა "მეკმადან" ამოღებულ დოკუმენტაციას ამჟამად რევიზია უტარდება, დასრულების შემდეგ კი ცნობილი გახდება ფირმის მიერ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის სრული რაოდენობა. დონაძის მტკიცებითვე, საბაჟო საწყობიდან "მეკმას" საქონელი არავის გამოუტანია.

"მეკმას" ხელმძღვანელების ადვოკატი ირმა არახამია კი ირწმუნება, რომ გამომძიებლები ბაძგარაძესთან და აბესაძესთან თვეების განმავლობაში არ მიდიან და საქმის გამოძიებაც, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს.

"ფირმიდან ამოღებული დოკუმენტების და თუნდაც აქციზური მარკების რაოდენობიდან გამომდინარე, საქმის აღძვრა რომ უაზრობა იყო, სამართალდამცველებმა ძალიან კარგად იცოდნენ. მეტიც, მაშინ, როცა გამოძიება აბესაძეს 10375 ლარს ედავება, სახელმწიფოს "მეკმას" 19 ათასი ლარი ვალი აქვს. სად არის ლოგიკა?" - აღნიშნავს არახამია. იგი არ გამორიცხავს, რომ გამოძიებამ, შესაძლოა, აბესაძეს ახალი ბრალდება წარუდგინოს, რათა უკანონო პატიმრობა გაამართლოს.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის პროექტი
უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით
პროექტის ფარგლებში გამოიცა გზამკვლევი "როგორ მივიღოთ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ნებართვა"
გზამკვლევი უფასოა
ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75
ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა. 11-დან 19 საათამდე.
საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ვ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; e-mail: office@economists.ge
IRIS პროექტი ხორციელდება "აირის საქართველო"-ს მხარდაჭერით

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ....

საკონტაქტო ტელეფონი ....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77.
ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]
7. [illegible]
8. [illegible]
9. [illegible]
10. [illegible]
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, [illegible] 0179 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

უსამართლობიდან მომდინარე საფრთხე

სოფიკო ჩხაიძე

ნუ დავაკონკრეტებთ, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ, მარტო ბოლო ერთი წლის მანძილზე, საკუთარი თავის დისკრედიტაციისთვის ისეთი მონდომებით იღვაწა, რომ, ამ მიმართულებით თუ კიდევ რამის გაკეთება შეიძლებოდა, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე. არადა, შესაძლებელი აღმოჩნდა.

ქართულმა სასამართლომ ბრალდების მხარის გადაწყვეტილების ნოტარიალურად დამმოწმებლის ფუნქცია შეიძინა და, ამ საქმიანობით გართულს, კანონის მოთხოვნებიც კი გადაავიწყდა. მაგრამ ერთია, როცა მოსამართლე თვალს ხუჭავს ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვების გზების კანონიერებაზე და მეორეა, როდესაც მოსამართლეები, რომლებიც, წესით და რიგით, ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის გარანტად უნდა გვევლინებოდნენ, სინამდვილეში შავით თეთრზე დაწერილ კანონს არად აგდებენ.

კანონს, რომელსაც მოსამართლეები ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ხშირად არღვევენ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჰქვია, თავად იურისტები - მოსამართლეები, გამომძიებლები - მას საკუთარ სამაგიდო წიგნს უწოდებენ. ჰოდა, ამ "სამაგიდო წიგნის" რამდენიმე მუხლი წინასწარი პატიმრობის შეფარდების პროცედურებს გვაცნობს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლი, სახელწოდებით "აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები", ამბობს: "აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ითვალისწინებენ წაყენებული ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს". გაცილებით კონკრეტულია იმავე კოდექსის 159-ე მუხლი, რომლის მე-3 პუნქტში გარკვევით წერია: "დაპატიმრება (აღმკვეთი ღონისძიების სახით - რედ.) გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი არ გამოიყენება მძიმე ავადმყოფის, ხანდაზმულის (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან), 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული და ჩვილბავშვიანი (ერთ წლამდე ასაკის) ქალის მიმართ, ხოლო შეიძლება არ იქნეს გამოყენებული იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა გაუფრთხილებლობით - გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლით ან მეტი ვადით".

მოკლედ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მაგიდაზე უდევს თუ არა, უკლებლივ ყველა მოსამართლეს მისი, ფაქტობრივად, ზეპირად ცოდნა ევალება, დარღვევა და გვერდის ავლა კი, არც მეტი, არც ნაკლები, დანაშაულია. მაგრამ...

მოსამართლეებისთვის არავის მოუთხოვია იმ გადაწყვეტილების არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, 75 წლის მოხუცი შოთა მეფარიძე მანამდე ამყოფეს პატიმრობაში, სანამ მან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ათასი დოლარი არ გადაიხადა. ასეთი მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება. ამჟამად კი საქმე ფეხმძიმე ქალს ეხება.

33 წლის ხათუნა გოლოშვილი, ექსპერტების დასკვნით, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ 12 კვირაზე ბევრით მეტის - 7 თვის ფეხმძიმეა. მაგრამ ეს არც მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მოსამართლის მამუკა სონღულაშვილისთვის, არც, მოგვიანებით, საოლქო სასამართლოსთვის, მისი პატიმრობიდან გათავისუფლების მიზეზი არ გამხდარა. ერთმა მას, ყველაფრის მიუხედავად, სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, მეორემ - ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

რატომ? მთაწმინდა-კრწანისის მოსამართლის თანაშემწე ამ გადაწყვეტილებას შემდეგი არგუმენტით ამართლებს: საპროცესო კოდექსში ნათქვამია, რომ "როგორც წესი, არ შეიძლება ფეხმძიმეს დაკავება," რაც ცალსახად არ კრძალავს ამგვარ ქმედებას და გამონაკლის შეემთხვევებსაც ითვალისწინებს. მაგრამ გაურკვეველიც ის გახლავთ, რატომ მიიჩნიეს მოსამართლეებმა ხათუნა გოლოშვილის შემთხვევა განსაკუთრებულად. მას, ფონდ "კონსტანტას" ხაშურის ოფისის წარმომადგენელს, 40 ათასი ლარის მითვისება და ფონდის დოკუმენტაციის განზრახ განადგურება ბრალდება. დამეთანხმებით, ბრალდება არც ისე მძიმეა, რომ ფეხმძიმე ქალი პატიმრობისთვის გაიმეტო. მით უმეტეს, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას დიდი გამოხმაურება და სახალხო დამცველის ოფისის მწვავე რეაქცია მოჰყვა. მეტიც, სახალხო დამცველმა საოლქო სასამართლოს მიმართა კიდეც, რომ გოლოშვილისთვის პატიმრობა ნაკლებად მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებით შეეცვალა, მაგრამ ამაოდ. შესაბამისად, ლოგიკურია, სასამართლოს ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების უკან ვინმეს ინტერესი ვეძიოთ.

ამ საქმით ერთადერთი დაზარალებული კი გაეროს ლტოლვილთა კომისარიატისა და ამერიკის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით შექმნილი მიკროსაფინანსო ფონდი "კონსტანტაა". ფონდს სათავეში არც ისე დიდი ხნის წინათ ამჟამად საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი თამარ ლებანიძე ედგა, ახლა კი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მისი ძმა - ლევან ლებანიძე გახლავთ. ლევან ლებანიძის თქმით, მას შემდეგ, რაც ფონდმა სამართალდამცველ ორგანოებს ხაშურში, მათ ოფისში საეჭვო ვითარებაში მომხდარი ხანძრის გამო მიმართა და ამავე ოფისის საქმიანობის შესახებ გარკვეული ეჭვებიც გაუზიარა, გამოძიების საქმიანობაში არ ჩარეულა.

"თავად გამოძიებამ ამოიღო გარკვეული დოკუმენტაცია, საიდანაც დაიანგარიშეს მიტაცებული თანხის ოდენობა. ჩვენ ამის თაობაზე ინფორმაცია პრესიდან გვაქვს, ისევე, როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან შევიტყვეთ ჩვენი ყოფილი თანამშრომლებისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ," - განაცხადა ჩვენთან საუბარში ლევან ლებანიძემ.

დაბოლოს, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსამართლემ, მამუკა სონღულაშვილმა ფეხმძიმე ქალისთვის პატიმრობის შეფარდების პარალელურად მასზე ზრუნვა (თუ პასუხისმგებლობის მოხსნა) სცადა და დადგენილებაში ხათუნა გოლოშვილის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების მიღებაზე პასუხისმგებლობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დააკისრა. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის ოფისის ცნობით, პატიმარი გაუსაძლის პირობებში იმყოფება, რამდენიმე დღეა მას აღენიშნება მაღალი ტემპერატურა და მის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ამასთანავე, ხათუნა გოლოშვილმა რამდენიმე დღის წინ შიმშილობა დაიწყო.

ვინ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ხათუნა გოლოშვილისა და მისი მომავალი შვილის ჯანმრთელობა ყოველივე ზემოთ თქმულის შედეგად შეირყევა, ძნელი სათქმელია. სახალხო დამცველი კი დღესაც ითხოვს, რომ სასამართლომ ყურად იღოს კანონიერი მოთხოვნა და ფეხმძიმე ქალი პატიმრობიდან გაათავისუფლოს.

ენერგოსექტორის მონიტორინგი

გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya-u@gol.ge.

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა „ კორუფციის გარეშე„ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი„ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან„ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი„ აგებს.

მიწისქვეშა გაზსაცავი - საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გარანტი

მიხეილ სიდამონიძე
- ს/ს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" მიწისქვეშა გაზსაცავების სამმართველოს უფროსი; მიწისქვეშა გაზსაცავების საერთაშორისო ექსპერტი.

გურამ ვარშალომიძე
- ს/ს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" გენერალური დირექტორი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ივერი ჭელიძე
- ს/ს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" გენერალური დირექტორის მოადგილე.

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში არსებული პრობლემები, კერძოდ კი, ელექტროენერგეტიკული დეფიციტი, ქვეყნის საერთო ენერგოუსაფრთხოების საკითხებთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავების საკმაოდ მოზრდილი სეგმენტი თბურ ენერგიაზე მოდის, რისთვისაც ბუნებრივი აირის უწყვეტი მოწოდება და, ამ მოწოდების უსაფრთხოების გარანტირებისთვის, მომწოდებლის დივერსიფიცირება ან ალტერნატიული გზის გამოძებნა ხდება საჭირო.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პრობლემაზე თვალის დახუჭვა საბოლოოდ ამ პრობლემის გამწვავებას განაპირობებს. ამ დროს კიდევ უფრო მეტი ალბათობა ჩნდება იმისათვის, რომ საკითხის მოგვარება ბოლომდე გაუაზრებელი ხერხებით მოხდეს. უკვე მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, მატულობს არაჯანსაღი ურთიერთობების დამყარებისა და ახალი კორუფციული ხვრელების გაჩენის ალბათობაც.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ პრობლემაზე დროული რეაგირება და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების საჯარო განხილვა არასწორი გადაწყვეტილების ერთგვარი პრევენცია იქნება.

ვინაიდან დღეს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ ეკონომიკურ საკითხად გაზის სექტორის პერსპექტივებთან დაკავშირებული პრობლემები იქცა, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" და გაზეთი "24 საათი", ენერგოსექტორის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, სიამოვნებით უთმობს ადგილს მიწისქვეშა გაზსაცავების ექსპერტის მიხეილ სიდამონიძის, ს/ს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" გენერალური დირექტორის გურამ ვარშალომიძისა და მისი მოადგილის ივერი ჭელიძის მოსაზრებებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პრობლემის მიწისქვეშა გაზსაცავების აშენების გზით გადაჭრასთან დაკავშირებით.

და ბოლოს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავების აშენების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, მიგვაჩნია, რომ ამისთვის ხარჯები ქვეყანამ "ნებისმიერი შესაძლო გზით" არ უნდა მოიზიდოს. ბოლოს და ბოლოს, ენერგოუსაფრთხოების თემატიკა ხომ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სეგმენტია.

ენერგეტიკული უსაფრთხოება არის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება და, შესაბამისად, ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს კეთილდღეობა და უსაფრთხოება დაფუძნებულია ენერგომატარებლების სტაბილურ მიწოდება-მოხმარებაზე. სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ ქვეყნებში ამ პრობლემას ე.წ. "სარეზერვო" ნავთობის და გაზის საბადოების მეშვეობით წყვეტენ. ამ საბადოებში "დაკონსერვებული" ნავთობი და გაზი წარმოადგენს სახელმწიფო სტრატეგიულ მარაგს და მათი ღირებულება ნაკლებად არის დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლების ფასების ცვალებადობაზე. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგორესურსების სარეზერვო მარაგების შექმნას. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ამისათვის ყველაზე რენტაბელური და გავრცელებულია მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა.

მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისათვის მსოფლიოში, ძირითადად, გაზისა და ნავთობის გამომუშავებულ საბადოებს, წყალშემცველ ფენებს და მარილიან წყებებში ხელოვნურად შექმნილ კავერნებს იყენებენ. მიწისქვეშა გაზსაცავები ფართოდ არის გავრცელებული ა.შ.შ.-ში, რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, კანადაში, უკრაინაში და სხვა.

ამიერკავკასიის რეგიონში არის სამი მიწისქვეშა გაზსაცავი: ორი - აზერბაიჯანში და ერთი - სომხეთში. თურქეთში გაზსაცავის მშენებლობა (ქ.სტამბულის მახლობლად) პროექტირების სტადიაშია.

საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნის საკითხის წინასწარი კვლევა 1960 წლიდან დაიწყო, როდესაც საკავშირო ორგანიზაცია "სოიუზბურგაზი" ნიადაგში შესაბამისი სტრუქტურების გამოსავლენად საძიებო სამუშაოებს აწარმოებდა. სათანადო სამუშაოები ჩატარდა უდაბნოს, უფლისციხის, დრანდის, ჭალადიდის, არჯევანი-წვერის და სხვა ტერიტორიებზე წყალშემცველი ფენების შესაფასებლად, მათზე გაზსაცავის მშენებლობის მიზნით. მაგრამ, ჩატარებული გამოკვლევებით შესაბამისი გეოლოგიური სტრუქტურა ვერ აღმოაჩინეს.

საბოლოოდ გაირკვა, რომ საქართველოში უკვე დაძიებული სტრუქტურებიდან გაზსაცავის შექმნა შესაძლებელია ნავთობგაზშემცველი და წყალშემცველი ფენებით აგებულ სტრუქტურებში. აღნიშნული ტიპის სტრუქტურები, ძირითადად, ს/ს ეროვნული კომპანია "საქნავთობის" ან მისი ერთობლივი კომპანიების კუთვნილ სალიცენზიო ტერიტორიებზეა განთავსებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე მოძიებული წყალშემცველი სტრუქტურები, თავისი პარამეტრებით, ან მიწისქვეშა გაზსაცავის მოთხოვნილებებს არ მიესადაგება, ან მაგისტრალური გაზსადენებიდან ისეთ მანძილზეა განლაგებული, რომ მათზე გაზსაცავის მშენებლობა არარენტაბელურია.

ამასთანავე, წყალშემცველი სტრუქტურები საჭიროებს დიდი მოცულობის კაპიტალურ და დროის დანახარჯებს მისი გაზსაცავისთვის ვარგისიანობის შესწავლის მიზნით (უნდა ჩატარდეს ჰიდროგეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოქიმიური და სხვა კვლევები. საჭიროა გაიბურღოს პარამეტრული, სათვალთვალო და საექსპლოატაციო ჭაბურღილები. უნდა ჩატარდეს სტრუქტურის საცდელი შევსება გაზით, რის შემდეგ მინიმუმ 1-2 წლის განმავლობაში უნდა გამოიცადოს და შესწავლილ იქნას სტრუქტურის ჰერმეტულობა და ა.შ.).

ამჟამად საქართველოში გამოვლენილია ნავთობის 15 და გაზის 1 საბადო. ეს საბადოები დაკავშირებულია ფართო სტრატიგრაფიულ სპექტრთან, დაწყებული იურულიდან - დამთავრებული პლიოცენური ასაკით, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ფარგლებში გავრცელებული დანალექი საფარი ნავთობგაზიანობის დიდი პოტენციით ხასიათდება. დღეისათვის გამოვლენილი საბადოებიდან მოპოვებულია 27 მლნ. ტ. ნავთობი და 0,4 მლრდ მ3 თავისუფალი გაზი.

ნავთობისა და გაზის მოპოვების მნიშვნელოვანი გაზრდა არსებული საბადოების ხარჯზე ნაკლებად შესაძლებელია, რადგან მათი უმრავლესობა ამჟამად დამუშავების ბოლო სტადიაზე იმყოფება, მათზე არსებულმა დამუშავების სისტემამ თავისი შესაძლებლობები თითქმის ამოწურა და ახალი მეთოდების და ტექნოლოგიების დანერგვას საჭიროებს.

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ბუნებრივი გაზის რეზერვმა, რომელიც მიწისქვეშა გაზსაცავებში იქნება შენახული, მისი წლიური მოხმარების 10-25 პროცენტი უნდა შეადგინოს.

ამასთან ერთად, თუ ბუნებრივი გაზის მოხმარების სეზონურ ცვალებადობასა და სახელმწიფოსათვის აუცილებელ სტრატეგიულ მარაგს გავითვალისწინებთ (ფაქტია, რომ 2003 წლის 14 იანვარს უცნობმა პირებმა აafეთქეს 1200 მმ. გაზსადენი სოფ. ჩმისთან, რუსეთ-საქართველოს საზღვართან. გაზის მოწოდება გაგრძელდა სარეზერვო 700 მმ. გაზსადენის მეშვეობით, რომელიც 18 იანვარს ისე დაზიანდა, რომ გაზის იმპორტი ორი კვირით მთლიანად შეწყდა), არსებული და მომავალი გაზსადენების უსაფრთხო და რითმული მუშაობის უზრუნველყოფის საჭიროებას, საქართველოს ტერიტორიაზე გაზის მოხმარების ნორმალურ პირობებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ საჭიროა შეიქმნას მიწისქვეშა გაზსაცავი, რომლის აქტიური მოცულობა არანაკლებ 0,5-1.0 მლრდ. მ3 იქნება (2010-2020წ.წ.).

1992 წელს გერმანულმა ფირმა UGS GMBH-მა, რუსულ "ვნიიგაზთან" და "სოიუზნეფტეოტდაჩასთან" ერთად, სამგორის სამხრეთ გუმბათზე შეიმუშავა მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის წინასწარი ტექნიკური პროექტი, რომელმაც გაიარა ყველა საჭირო ექსპერტიზა და წარმატებული პრეზენტაცია მთავრობის წინაშე.

ამ პროექტის მიხედვით, გამომუშავებულ ნავთობის საბადოში შექმნილი გაზსაცავის საერთო მოცულობა 505 მლნ. მ3-ს შეადგენდა, ხოლო გაზის აქტიური (მუშა) მოცულობა - 230 მლნ. მ3-ს. იმდროინდელი შეფასებით, ამ პროექტის ღირებულებამ 110 მლნ. გერმანული მარკა შეადგინა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ეს პროექტი არ განხორციელდა.

გაზსაცავების საკითხის ათწლიანი მივიწყების შემდეგ, 2002 წლის დასაწყისში საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ორი ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტი გამოსცა:

ბრძანებულება (2002წლის 11 მარტი): "სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის (ბაქო - თბილისი - ერზერუმის გაზსადენი)" პროექტის განვითარების შესახებ,

რომლის მიხედვით (პუნქტი 4) - საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას (თავმჯდომარე გ. ჭანტურია) ევალება, "საქართველოში მოკლევადიანი და გრძელვადიანი სეზონური შენახვის გაზსაცავის მშენებლობისათვის შეიმუშაოს ამ პროექტების რეალიზაციისთვის საჭირო მიდგომები როგორც მათი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების, ისე ამ პროექტების დაფინანსების უზრუნველსაყოფად..."

განკარგულება (N435 2002 წლის 19 აპრილი): "საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავების პროექტირებისა და მშენებლობის შესახებ" -

"საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების, მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით შეუფერხებელი და გარანტირებული მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით:

საქართველოში ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავების პროექტირების, მშენებლობისა და ამგვარი პროექტების განვითარების უზრუნველსაყოფად მოწონებულ იქნეს სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" და სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" წინადადება ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე.

ს/ს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ" და ს/ს ნავთობის ეროვნულმა კომპანია "საქნავთობმა" სათანადო ინვესტიციების მოსაზიდად ითანამშრომლონ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან."

11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალიების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ანტიტერორისტული ალიანსის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ევროსაბჭომ 1 მილიონი ევრო, ხოლო აშშ-ს მთავრობამ 683 ათასი დოლარი გამოყო საქართველოში გაზსაცავის მშენებლობის საკითხის შესასწავლად.

2002 წლის ბოლოს დაიწყო შეერთებული შტატების ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული (683 ათასი აშშ დოლარი) პროექტი "მიწისქვეშა გაზსაცავების პერსპექტივა საქართველოში," რომელიც ჯერ არ დამთავრებულა. წინასწარი მონაცემებით, ამერიკელმა ექსპერტებმა გაზსაცავის მშენებლობისათვის შეარჩიეს რუსთავის გაზკონდენსატის საბადო. ამ გაზსაცავის მუშა მოცულობა 300 მლნ.მ3-ს, ხოლო მშენებლობისთვის საჭირო თანხა - 40-45 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

2002-2003 წ.წ. ევროსაბჭოს "ტასის"-ის, "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების სისტემის რეაბილიტაცია და ტექნიკური მომსახურება" პროექტის ფარგლებში ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის საკითხში.

"ტასის"-ის პროექტის დამუშავებისას, თავდაპირველმა კლასიფიკაციამ გამოავლინა ნინოწმინდის ნავთობის საბადო, როგორც ყველაზე პერსპექტიული სტრუქტურა მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნისათვის, რაც დადასტურდა პროექტის მომხმარებელ ორგანიზაციებთან, კერძოდ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საქნავთობის და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის სპეციალისტებთან ჩატარებული მოხსენებების და განხილვების შემდეგ. ამგვარად, ევროკავშირის კონსულტანტმა თავისი შემდგომი საქმიანობა დაუთმო ნაწილობრივ გამომუშავებული, ნინოწმინდის ნავთობგაზიანი საბადოს მიწისქვეშა გაზსაცავად გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს.

შეიქმნა კოლექტორის კომპიუტერული მოდელი, რომელსაც საფუძვლად დაედო საბადოდან ნავთობისა და გაზის მოპოვების ისტორია. მიწისქვეშა გაზსაცავის ოპერირების მოდელირებამ აჩვენა, რომ გეოლოგიური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით, შესაძლებელია სტრუქტურაში გაზის ჩაჭირხვნა და ამოღება 6 სხვადასხვა ვარიანტით.

პირველ ოთხ ვარიანტში განხილულია სიტუაცია, როდესაც გაზის იმპორტი გაუთვალისწინებლად წყდება და გაზსაცავიდან გაზის ამოღება ხორციელდება მომხმარებლისათვის უსაფრთხო მიწოდების უზრუნველსაყოფად 30-60 დღის განმავლობაში.

ბოლო ორ ვარიანტში მოყვანილი ვითარებით, პიკური მოხმარების დაბალანსებისათვის 2 თვის მანძილზე გათვალისწინებულია გაზის ამოღების დაბალი ტემპები (დეკემბერი-იანვარი), რასაც შემდეგ გაზის მაღალი ტემპებით ამოღების 1-თვიანი პერიოდი (თებერვალი) მოსდევს, უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფისათვის გაზის იმპორტის შეწყვეტის შემთხვევაში.

ევროკავშირის კონსულტანტმა შეაფასა "კანარგო-ნინოწმინდის" ნავთობის კომპანიის წინადადება, ნინოწმინდაზე მიწისქვეშა გაზსაცავის ეტაპობრივი შექმნის სადემონსტრაციო პროექტის შესახებ. მომზადდა საჭირო საინვესტიციო დანახარჯების შეფასება, განხორციელდა ეკონომიკური შეფასება და შემუშავდა კოლექტორის ოპერირების 4 დამატებითი ვარიანტი.

კოლექტორის მოდელირების ბოლო ოთხი ვარიანტიდან - ორი აგებულია გაზის ქუდის მოცულობის შემცირების პრინციპზე "კანარგო-ნინოწმინდის" ნავთობის კომპანიის წინადადების თანახმად, ხოლო ორი - გაზის ქუდის მოცულობის გაზრდის პრინციპით.

ევროკავშირის კონსულტანტის მიერ განხორციელებულმა კოლექტორის მოდელირებამ დაადასტურა, რომ, ჯერ ერთი, გაზსაცავის ეტაპობრივად შექმნის პროცესში გაზის ქუდის მოცულობის ზრდა გაზრდის ნავთობის მოპოვებას; მეორეც - გაზის ქუდის მოცულობის შემცირება ნავთობის მოპოვების კლებას გამოიწვევს.

კოლექტორის მოდელირებამ და ეკონომიკურმა შეფასებამ დაადასტურა, რომ ნინოწმინდის ნავთობის კომპანიისათვის მომგებიანი იქნება საბადოში გაზის ჩასაჭირხნი ინფრასტრუქტურის ინვესტირება და ჩასაჭირხნად საჭირო გაზის მოცულობების შესყიდვა, რადგან მომავალში ეს ინვესტიცია განიხილება როგორც მიწისქვეშა გაზსაცავის კომპანიაში (რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიწისქვეშა გაზსაცავის ფართომასშტაბიან ოპერაციებზე 2010 წლის შემდეგ) ნინოწმინდის ნავთობის კომპანიის წილი.

ევროკავშირის კონსულტანტის მიერ განხორციელებულმა კოლექტორის მოდელირებამ და ეკონომიკურმა შეფასებამ დაადასტურა, რომ ნინოწმინდის ნავთობის კომპანიისათვის მომგებიანი იქნება უფრო მეტი გაზის ჩაჭირხვნა, ვიდრე ნავთობის საბადოდან მისი მოპოვება.

ნავთობის საბადოში ჩასაჭირხნი პროექტით გათვალისწინებული 570 მილიონი კუბური მეტრი გაზის (1 000 კუბური მეტრი გაზი - 39,6 ევროს ღირებულების შემთხვევაში) საერთო ღირებულება დაახლოებით 23 მილიონი ევროა, ხოლო 1 000 კუბური მეტრი - 50 ევრო ღირებულების შემთხვევაში, საერთო ღირებულება 29 მილიონ ევროს შეადგენს. მიწისქვეშა გაზსაცავის სადემონსტრაციო პროექტის საინვესტიციო დანახარჯები ინფრასტრუქტურაში იქნება: არსებული გაზსადენის შეკეთება (4,5 მლნ. ევრო); ახალი გაზსადენის მშენებლობა გარდაბნის თბოელექტროსადგურამდე (1,3 მლნ. ევრო); ახალი დამაკავშირებელი გაზსადენი (0,5 მლნ. ევრო); ჭაბურღილების მოდერნიზაცია (2,5 მლნ. ევრო); მიწისზედა მოწყობილობები (13,6 მლნ. ევრო). სულ - 22,4 მილიონი ევრო.

ამგვარად, პროექტის განმავლობაში საერთო საინვესტიციო დანახარჯები დაახლოებით 43-50 მლნ. ევროს შეადგენს. ამ ინვესტიციებით განხორციელდება გაზსაცავის მშენებლობის პირველი ეტაპი და დამატებით მოპოვებული ნავთობის რაოდენობა ზემოთ განხილული დამატებითი ორი ვარიანტის შესაბამისად - 1 და 1,1 მლნ. ტონას შეადგენს.

დამატებითი ნავთობის მოპოვებიდან მიღებული მოგებას უნდა შეედგინა 126-138 მლნ. ევრო (2003 წლის ივნისის ფასით 1 ბარელი - 20 ევრო), ხოლო დღევანდელი ფასით (1 ბარელი - 32 ევრო) - 200 - 220 მლნ. ევრო.

1999 წლიდან ნინოწმინდის საბადოზე დაიწყო გაზის ქუდიდან გაზის ამოღება, რაც არასასურველია როგორც შემდგომში ამ საბადოს გაზსაცავის რეჟიმზე გადაყვანისათვის, ასევე ნავთობის საბადოს დამუშავების პროცესისათვის. გაზის ამოღებამ გამოიწვია გაზის ქუდის მოცულობის შემცირება და ნავთობის შემოდინება გაზშემცველ კოლექტორში. წყლის ინტენსიური შემოჭრა ნავთობ და გაზშემცველ კოლექტორში და ფენის ენერგიის არარაციონალური გამოყენება, რამაც გამოიწვია ნავთობის ამოსაღები მარაგის ნაწილის დანაკარგი. ეს ნეგატიური მოვლენები ნაწილობრივ გაანეიტრალა საბადოზე ჰორიზონტალური ჭაბურღილების გაბურღვამ.

დღეისათვის ნინოწმიდის გაზის ქუდში გაზის მოცულობა 700 მილიონამდე კუბურ მეტრს შეადგენს, რაც თითქმის ემთხვევა იმ ბუფერული გაზის მოცულობას, რომელიც ევროკავშირის ექსპერტებმა გამოითვალეს.

შემდგომში, გაზსაცავის მშენებლობამდე, ნინოწმინდის საბადოზე გაზის მოპოვება დაუშვებელია, ვინაიდან ჩვენ, ღმერთის წყალობით, ერთი თეთრის დაუხარჯავად უკვე გვაქვს გაზსაცავისთვის საჭირო რაოდენობის ბუფერული გაზი, რომელიც გვაძლევს, მინიმუმ, 45-50 მილიონი დოლარის ეკონომიას გაზსაცავის შექმნის პირობებში.

ამასთანავე, ნინოწმიდის გაზსაცავს სამგორის საბადოს ფარგლებში მოცულობის ეტაპობრივი ზრდის პოტენციალი გააჩნია, ლოკალური მოთხოვნილების უზრუნველყოფიდან - რეგიონული უსაფრთხოებისათვის საჭირო მოცულობების მასშტაბებამდე (იხ. ნახ).

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის პროექტის საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ საქართველო გაზის ტრანზიტისათვის, გადასახადის ან პროდუქტის სახით, ტრანსპორტირებული მოცულობის 5 პროცენტს მიიღებს. გარდა ამისა, 20 წლის განმავლობაში საქართველოს შეუძლია დამატებითი გაზის შესყიდვა შეღავათიან ფასად. გაზის ეს დამატებითი მოცულობები მერყეობს 1 წლის განმავლობაში 200 მილიონი მ3-დან - 500 მილიონ მ3-მდე, გაზსადენის ოპერირების 6 - 20 წლის პერიოდში.

საქართველოში შექმნილი გაზსაცავი შაჰდენიზის პროექტთან მიმართებაში შეგვიძლია შემდეგნაირად გამოვიყენოთ: დაბალი მოთხოვნილების პერიოდში შაჰდენიზის გაზის გაზსაცავში შენახვა შესაძლოს გახდის გაზის უფრო დიდი რაოდენობით გაყიდვას თურქეთში, განსაკუთრებით, ზამთარში დიდი მოთხოვნილების პერიოდში, როდესაც ფასი გაზზე მაქსიმალურია.

საქართველოში გაზსაცავის მშენებლობის შემთხვევაში ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება მნიშვნელოვნად გაიზრდება: გაზსაცავის მეშვეობით საქართველოს მთავრობას გაზის ფასის დარეგულირების შესაძლებლობა მიეცემა, შეეძლება, ზაფხულში იაფად იყიდოს ბუნებრივი აირი და ზამთარში გამოიყენოს, დაბალ ფასად ნაყიდი ბუნებრივი გაზით თბოელექტროსადგურები მოამარაგოს, შესაბამისად, გაზარდოს ელექტროენერგიის გამომუშავებაც და ამით ჰიდროელექტროსადგურებში წყლის რესურსი დაზოგოს, და ა.შ.

საქართველოში სტრატეგიული გაზსაცავის არსებობას დიდი მნიშვნელობა ექნება ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის, მით უმეტეს, რომ არსებობს ამის ბუნებრივი და ტექნიკური წინაპირობები. საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია შეიქმნას რეგიონული გაზსაცავი, რომლის აქტიური მოცულობა 5 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი იქნება.

ასეთი გაზსაცავი უზრუნველყოფს არა მარტო საქართველოს გაზით უწყვეტი მომარაგების მოთხოვნილებას, არამედ მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, თურქეთი) შესაბამის მოთხოვნებს. ამასთანავე, უზრუნველყოფს როგორც არსებული გაზსადენების (რუსეთიდან) სტაბილურ მუშაობას, აგრეთვე, მშენებარე (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) და პერსპექტიული (ირანი-სომხეთი-საქართველო-უკრაინა-ევროპა, თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ევროპა) გაზსადენების მუშაობასაც.

ნავთობის მოპოვებისა და მიწისქვეშა აირსაცავების მშენებლობის საკითხები სახელმწიფოსთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობისაა, საჭიროებს სათანადო ყურადღებას მთავრობის მხრიდან და აუცილებლად უნდა ჩაიდოს იმ უმნიშვნელოვანეს საქმეთა ნუსხაში, რომლის დაფინანსება საერთაშორისო კრედიტების მეშვეობით განხორციელდება.



ბუშების გარდერობი

B3

სტიმულატორები ხალიჩაზე

B4

სვიმონ პირველი - დასავლეთის საიმედო მოკავშირე



B6

ნოდარ ლადარია

რუსი სემინარისტების წრეში არსებობს ერთი ხუმრობა, რომელიც ძალიან მახვილგონივრულად და ზუსტად ასახავს მართლმადიდებელთა შორის ძლიერ გავრცელებულ, ასე ვთქვათ, “სამოძღვრო ექსტრემიზმს”. ხუმრობა შემდეგში მდგომარეობს:

— მამაო, რატომაა, რომ ფერიცვალების დღესასწაულამდე მსხლის ჭამა შეიძლება, ატმისა კი არა? — ეკითხება სულიერი შვილი მოძღვარს. რაზედაც ეს უკანასკნელი ყოველგვარი დაფიქრების გარეშე პასუხობს:

— იმიტომ რომ მსხალი თესლოვანი ხილია, ატამი კი კურკოვანი.

ქართველ ფუნდამენტალისტთა რიგებში, შესაძლოა, ძნელი აღმოჩნდეს ისეთი სასულიერო პირის პოვნა, რომელიც ამ დონეზე მაინც იქნებოდა განსწავლული ბოტანიკაში. მაგრამ ჩვენ ახლა სულ სხვა რამ გვაინტერესებს. რაზეა აგებული ამ ხუმრობის კომიზმი? რატომ ეცინებათ საქმეში ჩახედულ ადამიანებს?

ჯერ ერთი, სულიერი შვილის შეკითხვა სულაც არ ძევს ქრისტიანული რელიგიის სიბრტყეზე: ამგვარი აკრძალვა არ არსებობს. მაგრამ მოძღვარი მაინც პასუხობს. ასეთი არჩევანი ბუნებრივია: თუ მრევლი დარწმუნებულია, რომ აკრძალვა არსებობს, ეს შეხედულება აუცილებლად უნდა განვამტკიცოთ, რადგან კონტროლის დამატებითი შესაძლებლობა ჭეშმარიტებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

მეორეც, პასუხი, სინამდვილეში, სულაც არაა პასუხი დასმულ შეკითხვაზე. დაუკვირდით, რომ ის არავითარ ინფორმაციას არ იძლევა, რადგან ამგვარი პასუხების მთელი სერია შეიძლება შევადგინოთ: “მსხალს პრიალა კანი აქვს, ატამს — ხაოიანი”, “მსხალი წაგრძელებულია, ატამი — მომრგვალებული” და ა. შ. ყველა ამ “პასუხს” ერთნაირი მნიშვნელობა ექნება, რადგან არანაირად არ აცხადებს არსებული ან არარსებული აკრძალვის მიზეზს. სულიერი შვილის მიერ ორ ობიექტს შორის ნაგულისხმევ განსხვავებას (ერთის ჭამა შეიძლება, მეორის — არა) მოძღვარი კი არ განმარტავს, არამედ აფიქსირებს სხვა, თვალსაჩინო განსხვავების საშუალებით (ერთი თესლოვანია, მეორე — კურკოვანი). კითხვა უპასუხოდ რჩება, მაგრამ სრულიად აკმაყოფილებს სულიერ შვილს და ასეთი სიტუაცია ნამდვილად შესაძლებელია რეალურ ცხოვრებაში. რატომ?

იმიტომ რომ სულიერი შვილი მოძღვარში რაღაც განსაკუთრებულ უპირობო უფლებამოსილებას გულისხმობს. ეს უფლებამოსილება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია არა მარტო ცოდნაზე, არამედ თვით ლოგიკაზეც კი. რეალურად, ეს მცირე დიალოგი აზრთა გაცვლას ან სულიერ გამდიდრებას კი არ ემსახურება, არამედ ორ სუბიექტს შორის ერთხელ დეკლარირებული ურთიერთობის პრაქტიკული განხორციელებაა.

ვითარება პარადოქსულია: რეალური საზრისის მატარებელი ამ დიალოგში სიტყვები კი არა, დუმილია. თანაც რეალური დიალოგი გათამაშებულის საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს. რეალურ კითხვას სულიერი შვილის სიტყვები კი არ სვამს, არამედ მოძღვრის დუმილი: “მემორჩილები?”. რეალურ პასუხს მოძღვრის სიტყვები კი არ იძლევა, არამედ სულიერი შვილის დუმილი: “გემორჩილები!”.

ახლა კი ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს ამ ტიპის კომუნიკაციები ჩვენს პოლიტიკურ და ფსევდოპოლიტიკურ რეალობაში. აი, 11 იანვრის ნომერში ვკითხულობთ **ვერიკო თევზაძის** მიერ მომზადებულ მასალას, *“საქართველოს ფედერალიზაცია — ეს არის ეროვნული თვითმკვლელობა”*. როგორც ვხედავთ, აქაც ცდილობენ ორ ობიექტს შორის ასოციაციური კავშირის დამკვიდრებას. ერთი მხრივ, ახალი და უცნობი რამ (საქართველოს ფედერალიზაცია), მეორე მხრივ, რაღაც ისეთი, რაც აუცილებლად უნდა იყოს საშინელების, თანაც საყოველთაო საშინელების განსახიერება (ეროვნული თვითმკვლელობა). მაგრამ არავინ უნდა იკითხოს, რას ნიშნავს “ეროვნული თვითმკვლელობა”. ასეთს მხოლოდ ერთს ვიცნობ — ხარაკირი. რამდენადაც ვიცი, ქართველები არასოდეს ანიჭებდნენ უპირატესობას თვითმკვლელობის რომელიღაც ერთ ხერხს, თანაც იმდენად, რომ ეროვნულის სახელი დაემკვიდრებინოს. უფრო მეტიც, სკოლის მერხიდან გვახსოვს ყველას, რომ “თავს არ მოიკლავს ქართველი, არა”. სავარაუდოა, რომ “ეროვნული თვითმკვლელობა” სხვა რამეს უნდა ნიშნავდეს, სახელდობრ, მთელი ერის თვითმკვლელობას. მაგრამ არავინ უნდა დაფიქრდეს, რამდენად შესაძლებელია ასეთი დასასრული და კონკრეტულად როგორ უნდა განხორციელდეს ის.

ახლა კი უფრო დეტალურად გავეცნოთ საქმის ვითარებას. ფედერალიზაციის წინააღმდეგ ყოფილი პარლამენტარის, **მიხეილ ნანეიშვილის** ინიციატივით იქმნება საზოგადოებრივი გაერთიანება “უნიტარული საქართველო”. დამფუძნებელი გვაუწყებს: “**ეს არის არაფორმალური და არაპოლიტიკური დროებითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელშიც ირიცხებიან ინდივიდუალური წესით გაწევრიანებული მოქალაქეები**”. მშვენიერია! ამ განსაზღვრებაში ყველაფერი გათვლილია საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპების გასათვალისწინებლად: პოლიტიკა ბინძური საქმეა, მუდმივი გაერთიანება აუცილებლად დაკავშირებულია ძალაუფლებასთან და ანგარებასთან, ხელისუფლება უპირობო ბოროტებაა, ამიტომ გაერთიანება “არაფორმალური” უნდა იყოს.

ვინ არიან ეს “ინდივიდუალური წესით გაწევრიანებული მოქალაქეები”? ამ კითხვაზე პასუხს ოდნავ მოგვიანებით განვიხილავთ, რადგან ის ნამდვილად მნიშვნელოვანია და მიმდინარე პროცესის ერთ-ერთ ყველაზე არსებით ასპექტს წარმოადგენს.

ჯერ-ჯერობით გადავიდეთ საზოგადოების მიზანზე: “**საზოგადოებას უნდა განვუმარტოთ ფედერალური და უნიტარული სახელმწიფოების არსი, ის, რომ ფედერალიზმი საქართველოს ტერიტორიის ლეგალიზებულ დაკარგვას ნიშნავს**”. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია სიტყვები: “ლეგალიზებული დაკარგვა”. ტერიტორიის დაკარგვა ჩვენი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხობელაა, მაგრამ როცა ამას წინ უძღვის ზედსართავი “ლეგალიზებული”, გასაგებია, რომ ტერიტორიას თურმე ჩვენი ხელისუფლება გვაკარგვინებს, რადგან ხელისუფლების გარდა რავის შეუძლია რაიმეს ლეგალიზება.

ამის შემდეგ გვიხსნიან, საქმის არსს, ანუ განსხვავებას თესლოვან და კურკოვან ხილს შორის.

“**უნიტარული სახელმწიფო არის ყველაზე ბუნებრივი ფორმა სახელმწიფოს ორგანიზაციისა**” — რას ნიშნავს ბუნებრივი? საბრალო შვეიცარიელები სოციალურ-პოლიტიკური მუტანტები აღმოჩნდნენ. ან რას ნიშნავს “ყველაზე ბუნებრივი”? რომელი სკალით იზომება ბუნებრიობის მეტ-ნაკლები ხარისხი?

“**ფედერალური სახელმწიფო პირველად მე-18 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გაჩნდა, როდესაც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები. ეს იყო ახალი პოლიტიკური აზრის გამოგონება. დღეს უნიტარიზმი, რატომღაც, შავი პიარის ობიექტი გახდა**”. ორასი წელი, რა თქმა უნდა, სულაც არაა საკმარისი ვადა ჩვენისთანა უძველესი კულტურის მქონე ერისათვის! აქაც “ნეგატიური” სიტყვების რახარუხია: “ახალი” (ფუჰ!), “პოლიტიკური” (სიბინძურე!), “გამოგონება” (ჰმ! ბუნებრივის ანტონიმი). და კიდევ, ჩვენი ულრმესი პოლიტიკური პროვინციალიზმის წარმონაქმნი — “შავი პიარი” — მხოლოდ ყრუ გოიმების ლექსიკონში შეიძლება დაიმკვიდროს ამ ტერმინმა გამოყენების ისეთი სიხშირე, როგორიც საქართველოში დაიმკვიდრა. წარმოვიდგინოთ, სადღაც ჩასაფრებული ბოროტი ამერიკელები, რომლებიც გამწარებულნი ცდილობენ რამენაირად გაუტეხონ სახელი უნიტარიზმს — საბჭოური აგიტ-პროპის რელიქტი.

“**ჩვეულებრივ, ითვლება, რომ ყველაზე ბუნებრივი გზა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა უნიტარული სახელმწიფოა**” — მაინც ვის მიაჩნია ასე, საერთოდ, ვინ აყენებს საკითხს ამგვარად: რომელი გზაა უფრო ბუნებრივი? წარმოვიდგინოთ ასე აგებული პოლიტოლოგიის კურსი. სად მიუშვებენ ასეთ ლექტორს სტუდენტებთან? ჩვენს დამფუძნებელს პასუხიც მზად ექნება: ყველაფერი იმ “შავი პიარის” ბრალია, თორემ ჩვენ, ქართველმა ინტელიგენტებმა ხომ ყველაფერი ვიცით, ყველაფერი გვესმის!

“**საქართველო, ტრადიციულად, უნიტარისტულ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ვრცელდება ხმები, თითქოსდა საქართველო არასოდეს ყოფილა უნიტარული, რაც მტკნარი სიცრუე და უმეცრებაა**”. ტრადიციულად! — ეს ყოვლისშემძლე სიტყვაც მოიშველია, “ატმიჩკა”, რომელიც ყველა გულის კარს აღებს. რამდენად ძველია ეს “ტრადიცია”, რომელ წლებში ჩამოყალიბდა, 1918-1921 თუ 1991-ის მერე? მაგრამ ამის შემდეგ ერთი რკინისებური არგუმენტი მაინც გაიმეტა დროებითი გაერთიანების ფუძემდებელმა:

“**დავით აღმაშენებლის დროს ფედერალიზმის ცნებაც კი არ არსებობდა**”. აჰა! ეს ხომ ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ატამი კურკოვანი ხილია! სხვა რაღა გინდათ თქვე ოჯახაშენებულებო! ის გვინდა, ბატონო ჩემო, რომ დავით აღმაშენებლის დროს არც უნიტარიზმის ცნება არსებობდა და ვინც საპირისპიროს დამიმტკიცებს, პირველმა მესროლოს ქვა.

ახლა კი ის ვნახოთ, როგორ ემტერება ჩვენი მთავარი უნიტარისტი ელემენტარულ ლოგიკას. ადრე უკვე ვთქვით, რომ მისი აზრით ფედერალიზმის ბოროტი იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა. სწორედ აშშ და, საერთოდ, დასავლეთი ცდილობს უნიტარიზმის “გაშავპიარებას”. ახლა მოვისმინოთ შემდეგი: “**საქართველოში ფედერალიზაციის იდეა რუსეთიდან მოდის. რუსეთი არის დაინტერესებული, რომ საქართველო ფედერალური სახელმწიფო იყოს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია, ტელევიზორი რუსულ ტელეარხებზე გადავრთოთ... რუსეთში ადგენენ სხვადასხვა პროექტებს, მათ იციან, რომ ფედერალური საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ინვალიდი სახელმწიფო იქნება**”.

გამოდის, რომ რუსეთი საქართველოში “ამერიკულ საწამლავს” ავრცელებს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტუაციას ჰგავს, სადაც ლათინური და ბერძნული წარმოშობის ყველა სიტყვას აქვს მინაწერი: “რუს. ენის მეშვ.”. არ გვყოლია დედამიწის ზურგზე მეგობრები. რუსეთსა და დასავლეთს შორის კი თურმე საოცარი თანხმობა ყოფილა იმ საკითხში, რომ ორივეს უნდა მოგვაშავოს ფედერალიზმი. თანაც რა ადვილია: “**თუ ჩვენ აფხაზეთი ფედერაციის სუბიექტ-სახელმწიფოდ გადავაქციეთ, სამხრეთ ოსეთსაც ასეთი სტატუსი მივანიჭეთ, ისინი გამოეყოფიან საქართველოს და ჩვენი ქვეყანა იქნება დაჩეხილი, როგორც ეს ფეოდალიზმის დროს ხდებოდა**”. აი, თუ გნებავთ დომხალი: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფეოდალიზმის აყვავება დავით აღმაშენებლის დროს იყო, როცა ფედერალიზმის ცნება არ არსებობდა, ახლა კი ფედერალიზმი ყოფილა ფეოდალიზმთან დაბრუნების პირობა.

და კიდევ ერთი ლოგიკური წინააღმდეგობა: განა ის უფრო არ შედის რუსეთის ინტერესებში, რომ რაც შეიძლება მეტად ვიყვიროთ უნიტარულ საქართველოზე და კიდევ უფრო დავაფრთხოთ ჩვენი ისედაც დაეჭვებული თანამოქალაქენი.

როგორც ვხედავთ, აქ რუსი სემინარისტების მიერ მოგონილი ხუმრობის ყველა კომპონენტია: არარსებული კონფლიქტის შექმნა (ბინარული ოპოზიცია “ფედერალური - უნიტარული” წარმოდგენილია როგორც რეალური დაპირისპირება), ყალბი ასოციაციური კავშირის დამყარება (ფედერალიზმი უდრის ეროვნულ თვითმკვლელობას), მზა სტერეოტიპებით თამაში და ელემენტარულ ლოგიკასთან მწყრალად ყოფნა.

აკლია ერთი კომპონენტი: რატომ უნდა დავიჯეროთ ეს ყველაფერი? სად არის უპირობო უფლებამოსილება, რომლითაც ასე თავისუფლად სარგებლობს დასაწყისში წარმოდგენილი მოძღვარი?

ამისათვის უნდა გავცეთ დაპირებული პასუხი შეკითხვას: ვინ არიან ახალ გაერთიანებაში “ინდივიდუალური წესით გაწევრიანებული მოქალაქეები”?

“**პირველ შეხვედრაზე შეიკრიბნენ ხელოვნების და მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლები**”. ესეც ასე — საბჭოთა აგიტ-პროპის კიდევ ერთი რელიქტი: დანაოჭებული “ელიტ-ფეისები”, შემოსილნი “მხცითა სიბრძნისაითა”, ანუ საყველაფრო კვალიფიკაციით. რა განსხვავებაა ფედერალიზმისა და უნიტარიზმის საკითხებზე მოლაპარაკე მხცოვან კინორეჟისორსა და სახელმწიფო საკითხების გადამწყვეტ მოწინავე მწველავს შორის?

“**ჯერ-ჯერობით მათი რიცხვი 29-ს აღწევს. ჩვენი სია კვლავ შეივსება თვალსაჩინო პერსონებით. ასევე, შემოგვიერთდებიან სტუდენტები, ასპირანტები, ახალგაზრდა მეცნიერები და ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეები**”. ეჰ, განათლების კანონის გამოქვეყნების შემდეგ ასპირანტები ვერავის შეუერთდებიან, რადგან არ იარსებებენ: ეს ტერმინი ჩვენი 29 გამოჩენილი მონაწილის ოქროს წლებისა არ იყოს, წარსულს ჩაბარდება. სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენს დამფუძნებელს მეტი გულისყური გამოეჩინა მის გარშემო მიმდინარე მოვლენების მიმართ. მაგრამ ერთობ მომხიბლავად რჩება ეს ასე ნაცნობი დაპირისპირება ახალგაზრდა მეცნიერებსა და “ჩვეულებრივ, რიგით” მოქალაქეებს შორის. იხსენებთ, საიდან შეიძლება ჩამოჰყოლოდა ეს სოციალური გრადაცია ჩვენს დამფუძნებელს?

როგორც ვხედავთ, მხოლოდ “ზვიადისტებისა” და “სახალხო ფრონტელების” საათი არ გაჩერებულა საქართველოში. **გიორგი ასანიშნვილმა** 11 იანვრის ნომერში კიდევ ერთი “დიდი ეროვნული გაერთიანების” შესახებ გვამცნო სტატიაში სათაურით *არ ვსდევთ ჟამთა სვლას — საათი გაჩერდა*. ესეც თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოყვარულთა გაერთიანებაა, რომელიც რატომღაც მთელი საქართველოს სახელით ლაპარაკობს, რადგან “**სწორედ ამისკენ მოუწოდებდა გუშინ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას თანამებრძოლებს ნოდარ ნათაძე. ეს უკანასკნელი “დიდ ეროვნულ გაერთიანებაში” დღეს თავს უკვე უსაფრთხოდ გრძნობს — თუ წინათ ე. წ. “კარვის ქალები” მას საცემრად დასდევდნენ, სახალხო ფრონტის ლიდერის მოსაზრებებსა და რჩევებს იგივე ქალბატონები ახლა უკვე ყურადღებით ისმენენ**”. რატომ? — იგივე მიზეზის გამო. შინაარსს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ ოდესმე ვინმე ყვიროდა: “შევარდნაძე იუდა!” ან “ძირს ბუში!” (ასეთი ლოზუნგიც მახსოვს). ეს ფრაზები რეალობას კი არ ასახავდა, არამედ პაროლი იყო, რომლითაც მსგავსნი მსგავსთ პოულობდნენ. სწორედ ამგვარი პაროლები გადმოდის დღეს ახლადგამომცხვარ მოძრაობათა სამოქმედო პროგრამებში. “უნიტარიზმი”, “პუტჩი”, “ლეგიტიმური ხელისუფლება”. ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა ყოფილიყო “ბერტყვი”, “ჟუნჟრუკელა”, “ნანინულა” ან სხვა ამგვარი.

ამავე ფენომენს აღნიშნავს პროფ. **დალი ფანჯიკიძე** თავის მცირე რეპლიკაში სათაურით *მორიგი ძალადობა ქართულ ენაზე, ანუ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება* (11 იანვარი). მე თვალებს ვუფრთხილდები და პირველ არხს არ ვუყურებ. სწორედ ამ ტექსტიდან გავიგე პირველად, რომ “ალიონს” დღეს “ადრე” ეწოდება, “მოამბეს” — “მთავარი”, სიტყვა “სარჩევი” კი ვიღაცას რჩევათა ერთობლიობად გაუგია! მოდი და ნუ გადაირევი. მაგრამ ენაზე ძალადობას ვერ ვუწოდებ ამას: ენა მხოლოდ ერთგულად და პირუთვნელად ირეკლავს საზოგადოებაში გაბატონებულ მარაზმს. საზოგადოებაში, სადაც მოაზროვნეთა მაგიერ თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოყვარულები მომრავლდნენ. ეძებონ, ეძებონ სასურველი ნაყოფი ხილის მოყვარულებმა, ნურავის ეშინია, რომ დაუკრეფავში გადასვლას მოახერხებენ, რადგან ამისათვის, ქართულად რომ ვთქვათ, ერთი ადგილია საჭირო.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge